პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

შაბათი, 18 ნოემბერი, 1950 წ. № 258 (8818). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

ყოველდღიური ხელმძღვანელობა პარტიულ განათლებას — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქი — ბელადისადმი სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია (1-ლი გვერდი).
კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები (მე-2 გვერდი).
დ. გვრიტიშვილი — საქართველოს ისტორიის დიდი მკვლევარი (მე-2 გვერდი).
განვახორციელოთ ამომრჩეველთა წინადადებანი (მე-3 გვერდი).
მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გახსნა (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
საფრანგეთის ეროვნულ კრებაში (მე-4 გვერდი).

## ყოველდღიური ხელმძღვანელობა პარტიულ განათლებას

კომუნისტების, კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის განუხრელი გაუმჯობესება კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამიტომ არის, რომ ბოლშევიკების პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას თავის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად თვლის.

განუხრელად ასრულებენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან კომუნისტების, კადრების იდეური გამოწრთობისათვის. წელს, გასულ წლებთან შედარებით, გაცილებით უფრო კარგად და ორგანიზებულად მოეწყო პარტიული პროპაგანდა, პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლის მუშაობა.

გასულ სასწავლო წელს მოპოვებულმა წარმატებამ, კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებამ პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მისცა წელს მეტი რაოდენობით შექმნათ პარტიული გა-

...

წრეისა და პოლიტსკოლაში მეცადინეობა გადაიდო. სატყეო კომბინატის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის პირველ მეცადინეობას 13 მსმენელიდან მხოლოდ 5 დაესწრო. ქალაქ რუსთავის პირველად ორგანიზაციებთან შექმნილი ზოგიერთი წრისა და პოლიტსკოლის მეცადინეობას მსმენელთა მხოლოდ 40-50 პროცენტი დაესწრო. პროპაგანდისტის გამოუცხადებლობის გამო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებიც იყო.

პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ საჭირო ყურადღება არ მიაქცია პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებას. ამით უნდა აიხსნას, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან 25 დღის შემდეგ დაზუსტებულიც არ იყო პარტიული განათლების სხვადასხვა ფორმაში გაერთიანებულ კომუნისტთა რაოდენობა.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ აფასებენ თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდს. ქალაქ სტალინირში თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტთა ერთ ნაწილს არა აქვს ინდივიდუალური მუშაობის გეგმა და მეცადინეობასაც არ შესდგომია. ნაკლოვანებანია აგრეთვე კონსულტანტებთან მუშაობის საქმეში.

პარტიული განათლების საქმეში ნაკლოვანებანი ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის პარტიულ ორგანიზაციებსაც აქვთ.

პარტიული პროპაგანდის მაღალი დონისათვის ზრუნვა ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მოეთხოვებათ გადაჭრით გააუმჯობესონ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება კომუნისტების პოლიტიკური განათლების დაყენების საქმეში,

...

ყველა რგოლში მეცადინეობის მაღალი დონის მისაღწევად.

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის უნდა გამოვიყენოთ ბოლშევიკური პროპაგანდის ყველა საშუალება; უკეთესად მოვაწყოთ პარტკაბინეტების მუშაობა, მათი დახმარება პროპაგანდისტების, კონსულტანტებისა და დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი, პარტკაბინეტებში პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების განზოგადება და პოპულარიზაცია.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დიდი, სერიოზული უბანია. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატურად, ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ პარტიული განათლების მთელ საქმეს.

## ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქი

# ბელადისადმი სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია

— დიდი სტალინი მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატია!

ამ სასიხარულო ამბავს სიამაყით გადასცემდნენ გუშინ ერთმანეთს დედაქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელები. საწარმოებში მოეწყო ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც ადამიანები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ სიხარულს, რაც გამოიწვია დიდი ბელადის სტალინის თანხმობამ მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს სტალინის საარჩევნო ოლქში.

დიდი აღფრთოვანებით გაიმართა მიტინგები ელექტროქარხნის საამქროებში, რომელიც აერთიანებს სამ საწარმოს —სატრანსფორმატორო, ელექტრონათურისა და ავტოტრაქტორის ელექტრომოწყობილობის ქარხანას (ატე-1). ელექტროქარხნელთა სახელოვანმა კოლექტივმა პირველმა დაასახელა ამხანაგი ი. ბ. სტალინი დეპუტატობის თავის კანდიდატად.

...ავტოტრაქტორის ელექტრომოწყობილობის გიგანტური საამწყობო საამქრო. სადილობის შესვენებისას აქ გაიმართა მიტინგი. სიტყვა წარმოთქვა ტექნიკურმა კონტროლიორმა ტ. ნ. სემენკინამ.

— უდიდესი სიხარულის გრძნობით მოვისმინეთ, — ამბობს იგი, — რადიოს ცნობა იმის შესახებ, რომ ამხანაგმა სტალინმა თანხმობა განაცხადა მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს ოლქში. ეს გვავალებს ვიმუშაოთ ისე, რომ შეგვეძლოს ვთქვათ: „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რათა თქვენი ნდობა გავამართლოთ". ამხანაგებო, უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენი საწარმო კოლექტიური სტახანოვური შრომის ქარხნად გადავაქციოთ!

დასასრულ, თავისი ამხანაგების ტაშის გრიალში ის ამბობს:

— მრავალ წელს იცოცხლე, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მთელი მშრომელი ხალხის საბედნიეროდ!

სიტყვას იღებს ოსტატი ვ. პ. კოზაჩკოვი. ამ სასიხარულო ამბის აღსანიშნავად მისმა უბანმა სადილობის შესვენებისათვის თითქმის დაამთავრა ცვლის მთელი დავალება.

ოსტატი კოზაჩკოვი ლაპარაკობს აგრეთვე, რომ თავდადებული შრომით უნდა ვუპასუხოთ იმ დიდ პატივს, რაც ამხანაგმა სტალინმა ჩვენს საარჩევნო

...

ში თითქმის სამი დღის ნორმას ასრულებს.

მიტინგები გაიმართა სატრანსფორმატორო ქარხნის საამქროებში. სტახანოველებმა მ. ი. შჩერბაკოვამ, მ. პ. იასკევიჩმა, ი. პ. ზაიალოვმა და სხვებმა თავიანთ სიტყვებში, გამოხატეს რა კოლექტივის აზრი, პირობა დადეს, რომ

...

ასეთი ვალდებულება შეძლოდა.

ელექტროქარხნის მუშებმა მიტინგებზე დიდი ენთუზიაზმით მიიღეს მისალმებანი დეპუტატობის თავისი კანდიდატის — ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

მიტინგები გაიმართა სტალინის რაიონის სხვა საწარმოებშიც. (საკდესი).

## სოხუმის მშრომელებმა სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელეს

# ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
# კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

**სოხუმი.** (საკ. კორ.). სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კლუბში მშრომელთა მრავალრიცხოვანი კრება გაიმართა. იგი მიეძღვნა სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

კრება გახსნა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. სიხარულიძემ.

სიტყვა აიღო მოწინავე საამქროს უფროსმა ამხ. ვლ. გაბელაიამ, რომელმაც განაცხადა:

— ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ განვახორციელოთ დიადი სტალინური კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული უფლება და წამოვაყენოთ სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილია დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას დამსახურება სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ვფიქრობ, გამოვხატავ აქ დამსწრეთა სურვილს — სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ ჩვენს ძვირფას ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ამ წინადადებას კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას კანდიდატურას მხარი დაუჭირეს მთავარმა ტექნოლოგმა ა. ყურაშვილმა, სტახანოველმა ნ. მოსკალენკომ, მოწინავე საამქროს უფროსმა გ. გობეჩიამ.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია და ეთხოვოს მას დათანხმდეს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს

...

ტკიცოს მშვიდობის საქმე მთელ მსოფლიოში. ორატორმა ილაპარაკა იმ უდიდეს მიღწევებზე, რაც საბჭოთა საქართველომ მიიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში.

— ეს მიღწევები, — თქვა ამხ. ჯანაშიამ, — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სწორი ხელმძღვანელობის შედეგია. სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს.

ამ წინადადებამ კრების დამსწრეთა ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა. სტახანოველმა ა. თოლორდავამ და მოწინავე საამქროს უფროსმა ლ. ლაფარეიშვილმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის დასახელებას.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: დასახელებულ იქნას ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ სოხუმის სტალინის № 3 საარჩევნო ოლქში.

## თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა

# კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ბახტაძემ.

მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ)

...

ნამებრძოლი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მარშალი კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი. ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის ცხოვრება და მოღვაწეობა ყველა ჩვენგანისათვის საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის

...

მქუხარე ტაშით ხვდებიან.

წინასაარჩევნო კრებაზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქარხნის საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსმა ამხ. თ. კაკაბაძემ, სტახანოველმა მუშამ ამხ. ვ. სივიაკმა, ინჟინერმა ამხ. ს. ბაბაიანმა და სხვ.

წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხანაგი კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი და ეთხოვოს მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების ლენინის რაიონის № 61 საარჩევნო ოლქში.

## თბილისის სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოთა ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

# ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი

დამთავრდა თუ არა სამუშაო დღე, თბილისის სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოთა ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები ერთსულოვნად გამოცხადდნენ წინასაარ-

...

რიტეტი მთელ მსოფლიოში. ეს იმის შედეგია, რომ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომას დიდი სტალინის გენია წარმართავს. ამხანაგი ხრუშჩოვი ბელადის უახლოესი თანამებრძოლია,

...

## თბილისის ზეთსახდელი ქარხნის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა

# ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში

16 ნოემბერს აკადემიკოს ვ. ვ. ვინოგრადოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. მოსმენილ იქნა ინფორმაციები საბჭოთა მეცნიერების მორიგი გამოკვლევების შესახებ, რაც წარმოებს ენათმეცნიერების საკითხებზე ი. ბ. სტალინის შრომებში მოცემულ მითითებათა საფუძველზე.

დიდი მუშაობა წარმოებს რუსული ენის დარგში. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონების ხალხურ კილოკავთა გამოკვლევის მასალის საფუძველზე იქმნება რუსული ენის დიალექტოლოგიური ატლასები, რომელთა შედგენაშიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის მრავალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები, მასწავლებლები, ასპირანტები და სტუდენტები.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ჩრდილო-დასავლეთის კილოკავთა ატლასის შედგენაზე გაწეული მუშაობის დაწვრილებითი კრიტიკული გარჩევა წარმოადგინა პროფესორმა ვ. ი. ბორკოვსკიმ.

მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. მოკამათეებმა გამოთქვეს მეცნიერული და ორგანიზაციული ხასიათის მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი. (საკდესი).

## ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1950 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავი". (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები

★ ★ ★

## საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა

## ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი

15 ნოემბერს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ვრცელ დარბაზში შეიკრიბნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მოსამსახურეები, რათა დაესახელებინათ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები.

წინასაარჩევნო კრება გახსნა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. დ. მოსელიანმა.

სიტყვა ეძლევა დოცენტ ამხ. პ. თავხელიძეს.

— ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხი, — ამბობს იგი,—დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში ემზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. მთელ ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში საბჭოთა ხალხი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად ასახელებს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ ადამიანებს, კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს. როგორც ყოველთვის, ისე ახლაც საბჭოთა ხალხმა დეპუტატობის პირველ კანდიდატად დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, აგრეთვე ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლები, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები.

ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივისაგან, — განაგრძობს იგი,—მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინს.

ამხანაგ პ. თავხელიძის წინადადებას კრების მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით ვგებებიან.

ტრიბუნაზეა დოცენტი ა. ბუჩუკური.

— ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი, ისე როგორც სხვა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები, — ამბობს იგი, — მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენ გვხელმძღვანელობენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლებში ნაცადი ადამიანები. ამიტომ მხურვალედ ვუჭერ მხარს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ა. კოსიგინის დასახელებას.

ამხანაგ კოსიგინის კანდიდატურას მხარი დაუჭირა აგრეთვე სტუდენტმა ამხ. გ. ლიპარტელიანმა.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი დასახელებულ იქნას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 381 საარჩევნო ოლქში.

კრების მონაწილეებმა ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს აგრეთვე ამხანაგები: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. კვესიტაძე, პროფესორი თ. მამაიაშვილი და დოცენტი ნ. ანთაძე.

კრების მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს დასახელებულ ამხანაგებს კენჭი იყარონ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

კრებამ აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

წინასაარჩევნო კრებამ მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღო მისალმება ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

## ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა

## მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გახსნა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. გაბრიჩიძემ.

სიტყვას იღებს გზის უფროსის მოადგილე ამხ. გ. ახალკაცი.

— წინადადება შემომაქვს, — განაცხადა მან, — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ამხ. ნ. ვლადიმიროვმა.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება: მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხ. მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების ლენინის რაიონის № 56 საარჩევნო ოლქში.

## საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

## მიხეილ ივანეს-ძე ბარამია

საზეიმო განწყობილებაა საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში. აქ შეიკრიბნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურეები იმისათვის, რომ თავიანთი კანდიდატები დაასახელონ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოში ასარჩევად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ლ. კალანდაძემ, რომელმაც პირველმა აიღო სიტყვა, თქვა:

— მთელი ჩვენი ქვეყანა სასიხარულო დღეებს განიცდის. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კანდიდატთა დასახელება სტალინური კონსტიტუციის დიადი დემოკრატიული პრინციპების ტრიუმფად გადაიქცა. ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივის სახელით მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე ბარამიას.

კრების დამსწრენი ამ წინადადებას მხურვალე ტაშით შეეგებნენ.

მექანიზაციის ფაკულტეტის დოცენტმა დ. ციციშვილმა და ს. ქარუმიძემ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. მ. ი. ბარამიას კანდიდატურას.

კრების გადაწყვეტილებაში ნათქვამია: თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხანაგი მიხეილ ივანეს-ძე ბარამია და ეთხოვოს მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების ორჯონიკიძის რაიონის № 387 საარჩევნო ოლქში.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და მუშა-მოსამსახურეებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აგრეთვე წამოაყენეს ინსტიტუტის დირექტორი გ. ყ. ურუშაძე, მემცენარეობის კათედრის გამგე პროფესორი ი. ნ. ლომოური, მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრის გამგე დოცენტი ქ. ე. ცხაკაია, დოცენტები მ. ა. სიხარულიძე და ვ. ა. ფხაკაძე.

## სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

## როსტომ სიმონის-ძე შადური

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში მოვიდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მუშა-მოსამსახურეები.

წინასაარჩევნო კრებას გახსნილად აცხადებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომის თავმჯდომარე დოცენტი ავთანდილ სამსონია.

კრების თავმჯდომარე სიტყვას აძლევს უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფესორ ნ. კეცხოველს.

— ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად,—ამბობს ამხ. კეცხოველი, — მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ხალხი ასახელებს სამშობლოსა და ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილებს. წინადადება შემომაქვს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. როსტომ სიმონის-ძე შადური.

ფილოსოფიის ფაკულტეტის დოცენტი გრიგოლ გამსახურდია და უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე სტუდენტი თეიმურაზ ბადურაშვილი ერთსულოვნად უჭერენ მხარს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. შადურის დასახელებას.

კრება ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას: წამოყენებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. როსტომ სიმონის-ძე შადური და ეთხოვოს მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 367 საარჩევნო ოლქში.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წინასაარჩევნო კრებამ აგრეთვე წამოაყენა: საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ნინო ავქსენტის ასული ქვანია, სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი გიორგი მოსეს-ძე ბახტაძე, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი გენერალ-მაიორი გიორგი გაბრიელის-ძე ყურაშვილი, ორგანული ქიმიის კათედრის გამგე პროფესორი ნინო სოლომონის ასული ციციშვილი, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი რევაზ გრიგოლის-ძე ნათაძე, ბიოლოგიური ფაკულტეტის დოცენტი ქეთევან არჩილის ასული გაჩეჩილაძე, ქიმიის ფაკულტეტის დოცენტი ანა ბართლომეს ასული მოსეშვილი და ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი ანა ილიას ასული ჩხეიძე.

## ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა

## ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძე
## ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი
## იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის საზეიმოდ მორთულ კლუბში შედგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს და 26 კომისრის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი.

წინასაარჩევნო კრება გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ს. თარხანოვმა.

ტრიბუნაზეა ფაბრიკის სტახანოველი ზეინკალი ამხ. ი. გოლოვაჩოვი.

— მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება, — თქვა ამხ. გოლოვაჩოვმა, — დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი თავდადებულ ადამიანებს, საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილებს. წინადადება შემომაქვს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლექტივისაგან დასახელებულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძე.

ამხ. ი. გოლოვაჩოვის წინადადებას მხარი დაუჭირა მეოთხე საამქროს უფროსმა ამხ. ლ. ნაზარიანმა.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხანაგი ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძე და ეთხოვოს მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების 26 კომისრის რაიონის № 453 საარჩევნო ოლქში.

შემდეგ სიტყვით გამოდის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. გ. კიკნაძე.

— მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ხალხის საუკეთესო შვილების დასახელებით ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს ერთგულებასა და სიყვარულს ბოლშევიკური პარტიისადმი, მშობლიური სტალინისადმი. წინადადება შემომაქვს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი.

ამხ. გ. კიკნაძის წინადადებას მხარი დაუჭირა სტახანოველმა მუშამ ამხ. ლ. დიამანდოპულომ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება: წამოყენებულ იქნას ამხ. ზ. კეცხოველი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების 26 კომისრის რაიონის № 433 საარჩევნო ოლქში.

ტრიბუნაზეა საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დირექტორი ამხ. გ. ასლამაზოვი.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, — ამბობს ამხ. ასლამაზოვი, — ბედნიერ ეპოქაში, სტალინურ ეპოქაში ვცხოვრობთ. თვითეული საბჭოთა ადამიანი ამაყობს იმით, რომ მას შეუძლია თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, აირჩიოს და არჩეულ იქნას ჩვენი სახელმწიფოს ორგანოებში. გამოვხატავ რა ჩვენი ფაბრიკის თვითეული მუშის ნებას, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილს.

ამხ. გ. ასლამაზოვის წინადადებას მხარი დაუჭირა ფაბრიკის საგეგმო-საწარმოო განყოფილების გამგემ ამხ. ე. კომპანეცმა.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა: წამოყენებულ იქნას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. კოჭლამაზაშვილი და ეთხოვოს მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების 26 კომისრის რაიონის № 443 საარჩევნო ოლქში.

კრების მონაწილეებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელეს აგრეთვე ფაბრიკის დირექტორი ამხ. ქ. ბუჯიაშვილი, სტახანოველი მუშები ე. აბრამიშვილი, ა. აირაპეტიანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. პანიევი, ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. გ. კიკნაძე.

კრების მონაწილეებმა 26 კომისრის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. ბარამიძე, სტახანოველი მუშები მ. პაპავა, რ. რუდენკო, ე. მელქონიანი, ო. ოდიშვილი, ა. სიდოროვი, რ. ნიკოლაიშვილი და საამქროს უფროსი შ. კუხალეიშვილი.

წინასაარჩევნო კრებამ აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

კრებამ მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღო მისალმება ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი.

# საქართველოს ისტორიის დიდი მკვლევარი

### (ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო)

ათი წლის წინათ, 1940 წლის 18 ნოემბერს შეწყდა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის სიცოცხლე.

ი. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა მეცნიერების ამოცანები, თვლიდა, რომ მეცნიერება ხალხის საკეთილდღეოდ, პრაქტიკისათვის არის საჭირო, ამიტომ მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ხალხთან. ჯერ კიდევ 1903 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტად მუშაობის დროს ი. ჯავახიშვილმა ქართველი სტუდენტებისათვის დააარსა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრე, სადაც ლექციებს თვითონ კითხულობდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობიდანვე ი. ჯავახიშვილმა თავისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმართა ქართველი ხალხის ისტორიის მეცნიერულად დამუშავებისათვის.

ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ის არის, რომ მან დიდი შემოქმედის სიმკაცრით გაწმინდა ქართველი ერის ისტორიის მასალები, კრიტიკულად განიხილა ყველა საისტორიო წყარო, მრავალი უკუაგდო, როგორც უვარგისი, და შეიმუშავა სრულიად ახალი შეხედულება საქართველოს ისტორიაზე. მისი კაპიტალური ნაშრომებია: „ქართველი ერის ისტორია" — 4 ტომად, „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა" — 4 ტომად, „საქართველოს ეკონომიური ისტორია" — 2 ტომად, „ქართული სამართლის ისტორია" — 3 წიგნად.

დიდი სტალინი გვასწავლის, რომ „ყოველ ერს,—სულერთია — დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს".

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ გამოერკვია ქართველი ხალხის „თვისობრივი თავისებურებანი", მისი სპეციფიკა, ეჩვენებინა, თუ რა შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო კულტურის საგანძურში, რით გაამდიდრა ის. ივ. ჯავახიშვილმა განავითარა ქართული ისტორიოგრაფია, ახლად დაამუშავა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია და საფუძველი ჩაუყარა ისტორიის დამხმარე ისეთი დარგების განვითარებას როგორიცაა: ნუმიზმატიკა, პალეოგრაფია, ეთნოგრაფია და სხვ.

ჯერ კიდევ 1917 წელს, როცა ის თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისათვის ზრუნავდა, შეგნებული ჰქონდა, რომ ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევა-ძიების ერთ-ერთ საგანს უნდა შეადგენდეს ქართველი ხალხის ისტორიის ყოველმხრივი მეცნიერული დამუშავება.

ივ. ჯავახიშვილი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის ერთი პირველი მებრძოლთაგანი იყო. ამ იდეას მაშინ, მრავალრიცხოვან მომხრეებს გარდა, მტრებიც ჰყავდა. მას მეცნიერთა ნაწილიც კი სასაცილოდ იღებდა. უნივერსიტეტის დაარსების მოწინააღმდეგეთა მეთაური ნ. მარი იყო. ამიტომ ივ. ჯავახიშვილს სხვა სიძნელეებთან ერთად მოუხდა ბრძოლა მარის წინააღმდეგაც. უნივერსიტეტის არსებობის ათხი წლისთავის გამო დაწერილ თავის მოხსენებაში 1922 წელს ი. ჯავახიშვილი წერს: „როდესაც 1917 წ. ოქტომბერში პეტერბურგიდან ცნობა მოგვივიდა, რომ აკადემიკოსი ნ. მარი ჩვენი უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა ბანაკის ბელადი არის... გაოცებული ვიყავი, რომ ის ადამიანი, რომელმაც 1906 წ. ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების თაოსნობა იკისრა, ათი წლის შემდგომ ქართული უნივერსიტეტის დაარსების გააფთრებულ მოწინააღმდეგედ იქცა. ისეთი რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რომ ნ. მარის აზროვნება ასე ძირიანად შეცვალა. შეუძლებელია ეს გარემოება მარტო 1917 წლის რევოლუციის შედეგი იყოს. 1906 წელს, როდესაც ნ. მარს ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსება



აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, ის რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრად არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ პროფესორად. მაშინ მას აკადემიკოსად არჩევის იმედიც კი არ ჰქონდა და ამ აკადემიას თავისებური ენამახვილობით დასცინოდა. ამ დროს ქართული სამეცნიერო აკადემიის არსებობასაც მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგ კი, როდესაც დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა და აკადემიკოსობას ეღირსა, ახლა ქართული სამეცნიერო ტაძრის დაარსება უკვე მას არამც თუ საჭიროდ არ მიაჩნია, მის თავშეუკავებელ მრისხანებასაც კი იწვევს".

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პრესაში მარი ამტკიცებდა, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნას „რუსეთში თავისუფლების სულის ჩაქრობა შეეძლო". ივ. ჯავახიშვილი გაკვირვებული შენიშნავდა: „რატომ?—უნებლიეთ იკითხავს ადამიანი. ნუთუ ქართული უნივერსიტეტის დაარსება რუსეთისათვის ასეთი საბედისწერო რამე უნდა ყოფილიყო".

ქართველმა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, მიუხედავად ნ. მარისა და სხვათა სასტიკი წინააღმდეგობისა, მაინც გაიტანეს თავისი და დააარსეს უნივერსიტეტი, რომელიც ქართული ეროვნული კადრების სამჭედლოდ გადაიქცა.

ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის საფუძვლის ჩაყრისა და ქართული ენის განვითარების საქმეში, იძლევა მარის იაფეტური თეორიის გამანადგურებელ კრიტიკას. „საიდგან წარმოადგინა ბ-ნმა მარმა,—წერს ივ. ჯავახიშვილი,—რომ ქართულ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიას ნ. მარისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიასთან რაიმე საერთო ექნება. ხოლო თუ სიმართლის გაგონება სურს ნ. მარს, ჩვენ კი არ განგვიდევნია ტერმინი იაფეტური, არამედ სწორედ მან განდევნა, და სდევნიდა... ...თავისი ჩვეულებრივი ქიშპობით ყოველგან ქართულის მაგიერ შემოიღო თავისგან შეთხზული და მოგონილი, მისი ავტორისთვისაც კი გამოურკვეველი ერთეულისა და ცვალებადი ცნების გამომხატველი ტერმინი იაფეტური". „იაფეტური ენათმეცნიერება, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — ნ. მარის პირადი მოგონილია, და დამშვიდებული ბრძანდებოდეს ბ-ნი აკადემიკოსი, რომ არცერთს ჩვენთაგანს ქართული ენათმეცნიერება და დიალექტოლოგია მარისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებათ არ ჰქონია განზრახული".

ივ. ჯავახიშვილი შემდეგ დაასკვნის: „ის, რასაც აქამდ, ნ. მარი იაფეტურ ენათმეცნიერებად ასაღებდა, რომ მართლაც ენათმეცნიერება ყოფილიყო და იყოს, ადამიანს ყოველგვარი პატივისცემა უნდა დაეკარგოს ენათმეცნიერებისადმი".

ივ. ჯავახიშვილი წინასწარმეტყველურად ამბობს, რომ „1915 წელს, როდესაც ქართველი ერის ისტორიის წიგნის ახალი გამოცემისათვის შესახები ნაწილების, მათ შორის ქართულისა და მისი მონათესავე ენების შესახები თეორიების მიმოხილვის წერას შევუდექი და ნ. მარის ყველა ნაწერები გულდასმით თავიდან ბოლომდის გადავიკითხე, მაშინ ჩემთვის სრული უეჭველობით ცხადი შეიქმნა, რომ ნ. მარის მთელი თეორია, მრავალი წლების ლინგვისტური მუშაობა ძირიანად უნდა შერყეულიყო და მისი სრული უარყოფით უნდა დამთავრებულიყო. ასეთი დასკვნის შემდგომ მე ზნეობრივ მოვალეობად ჩავთვალე ეს გამოქვეყნებინა და მთელი ეს მიმოხილვა წავუკითხე კიდეც ჩემს მსმენელ სტუდენტებს. ...ჩვენ შეგნებულად და გადაჭრით უარვყოფთ ამგვარს უვარგის გზას და ამნაირს ძიმართულებას ენათმეცნიერებაში და არც გვსურს, რომ ქართული ენათმეცნიერება მეთოდური, დინჯი და საფუძვლიანი კვლევა-ძიების მაგიერ ბრყვიალა და ფართო, მაგრამ ხანმოკლე და უნიადაგო თეორიების ტურფა საბაღნაროდ იქცეს".

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილმა ნ. მარის მეცნიერული გზა უვარგისად მიიჩნია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი საფუძვლები ძირიანად უნდა შერყეულიყო, სრული უარყოფით უნდა დამთავრებულიყო.

რა შესანიშნავად გამართლდა ივ. ჯავახიშვილის სიტყვები! წელს ჩატარებული დისკუსიის შედეგად ძირიანად შეიცვალა მდგომარეობა ენათმეცნიერებაში. ხალხთა გენიალურმა ბელადმა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც ახალი ეპოქა შექმნა ენათმეცნიერებაში, გაანადგურა მარიზმი, როგორც ანტიმეცნიერული მიმდინარეობა, გამოააშკარავა კვლევა-ძიების მარისეული გზის იდეალიზმი და სრული უნიადაგობა.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო ცარიზმის ბატონობის მძიმე პირობებში. მას დაუცხრომელი ბრძოლა უხდებოდა სიძნელეთა გადასალახავად, რასაც მას ცარიზმის მოხელენი უქმნიდნენ. თავისი შემოქმედებითი ნიჭი და საზოგადო მოღვაწეობის უნარი ივ. ჯავახიშვილმა მთელი სისრულით გამოავლინა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა მას, როგორც მეცნიერს, მუშაობის ყოვლისად ნაყოფიერი პირობები შეექმნა. 1925 წლამდე ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სამეცნიერო საბჭოს და საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოების თავმჯდომარე იყო; 1931 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად მუშაობდა, ხოლო 1936 წელს მიწვეულ იქნა კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტში მუდმივ მეცნიერ-კონსულტანტად.

ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ სათანადოდ დააფასეს ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა, და იგი 1938 წელს დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო ამავე წელს ის ხალხმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. მთავრობის მაღალი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით მხცოვანი მეცნიერი 1938 წ. 17 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" წერდა: „შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება უდიდეს მოვალეობას მაკისრებს — მთელი ჩემი ძალღონე შევწირო საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას, სოციალისტური კულტურისა და მშრომელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, რომელსაც გენიალური ბელადი დიდი სტალინი ხელმძღვანელობს".

ივ. ჯავახიშვილმა ახალი ენერგიით მოჰკიდა ხელი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის კვლევა-ძიებას. იგი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს მცხეთა-არმაზში. იქ აღმოჩენილმა ისტორიულმა ძეგლებმა ახალი შუქი მოჰფინა ჩვენი ხალხის შორეულ წარსულს. ი. ჯავახიშვილი არა მარტო პალიმფსესტებს შიფრავდა და სადავო თარიღებს ადგენდა, არამედ ჩვენი ქვეყნის გადასულ ამბებს საღლეისო ამოცანებთან აკავშირებდა. მას ახარებდა ჩვენი სამშობლოს დღევანდელი დღე. იგი თავისი თვალით ხედავდა, თუ როგორ იზრდებოდა მის მიერ დაარსებული სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორ მრავლდებოდნენ უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებანი, როგორ იზრდებოდნენ მეცნიერული ძალები საქართველოში.

ივ. ჯავახიშვილი შესანიშნავი წარმომადგენელი იყო იმ მეცნიერებისა, „რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზადაა ემსახუროს ხალხს, მზადაა გადასცეს ხალხს ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით" (ი. სტალინი).

ის საქმე, რომელსაც ი. ჯავახიშვილი ასე გატაცებით ემსახურებოდა, დღითიდღე ვითარდება. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით ნამდვილ აყვავებას განიცდის და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ქართული საბჭოთა მეცნიერება.

**დოცენტი დ. გვრიტიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განვახორციელოთ ამომრჩეველთა წინადადებანი

როცა ქალაქ სიღნაღის მშრომელები საქალაქო საბჭოს დეპუტატებს ირჩევდნენ, მათ დეპუტატობის კანდიდატებს მრავალი დავალება მისცეს. ხალხის მსახურებმა ქალაქის საკეთილდღეოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს. ქალაქის მრავალი ქუჩა მოიკირწყლა. ბარათაშვილის ქუჩას გაუკეთდა ნიაღვარმიმღები ჭა, რაზეც 316 ათასი მანეთი დაიხარჯა. საყრდენი კედლები გაუკეთდა ჯაფარიძის, საბჭოს, ეედოშვილისა და მთის ქუჩებს. სარაჯიშვილის ქუჩაზე აღდგენილ იქნა ხიდი.

ამჟამად მუშაობა წარმოებს 1905 წლის რევოლუციის ქუჩაზე. ქალაქში შესასვლელი ეს ქუჩა ყველაზე განიერი და კეთილმოწყობილი ხდება. ამ ქუჩის მარცხენა მხარე დამშვენებულია არქიტექტურულად ნაგები კედლით და ელექტროლამპიონებით. ამ ქუჩიდან მთელი ხედით მოჩანს ალაზნის ველი თავის არხებითა და საკოლმეურნეო ნაგებობებით.

აშენდა სასტუმრო „სიღნაღი", ფართო ასორტიმენტის სავაჭრო მაღაზია, „ზაგოტქივსირიოს" რაიონული კანტორის შენობა. ქალაქის ახალ სკვერს ამშვენებს ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ახლახან დადგმული მონუმენტი. ქალაქს აქვს წყალსადენი; ახლახან გაიხსნა 15-საწოლიანი სამშობიარო სახლი, გაფართოვდა პიონერთა და ბავშვთა სახლები.

მიუხედავად ამისა, დეპუტატებს ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩათ გასაკეთებელი. ქალაქი სიღნაღი რკინიგზის სადგურ წნორისწყალს დაშორებულია 16 კილომეტრით. მოსახლეობას ეს დიდად აწუხებს. შარშან დაიწყო სიღნაღ-წნორის წყლის 5-5,5 კილომეტრი გზის მშენებლობა, რომელიც ქალაქს რკინიგზის სადგურთან დააკავშირებს. გზის მშენებლობა პირველად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა ეს სამუშაო რატომღაც არადამაკმაყოფილებლად წარმოებს. მეათე წელია, რაც ქალაქ სიღნაღში დაიწყეს ფეხბურთის მოედნის მშენებლობა, მაგრამ არც ამ საქმეს უჩანს ბოლო. სიღნაღში რამდენიმე წელია თითქოს არსებობს კიზიყის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არის მუზეუმის დირექტორი, შენობა, საკმაო ექსპონატებიც, მაგრამ მუზეუმის გახსნისათვის ჯერ კიდევ არავინ არ ზრუნავს.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საშაქარლამო და ლიმონათის ქარხნები შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. ამის გამო შეუძლებელი ხდება სანიტარული წესების დაცვა. კომბინატს საკმაო შესაძლებლობა აქვს ააგოს ქარხნების შენობები, მაგრამ კომბინატის დირექტორი დეპუტატი ზ. ქუმსიაშვილი თავს იმით იმართლებს, რომ ქარხნისათვის ადგილი „ვერ გამონახეს".

შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული რაიკოოპკავშირის მაღაზიაც. არის საშუალება აშენდეს ახალი მაღაზია, მაგრამ ამ საქმით არ დაინტერესებულა რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, რაისაბჭოს დეპუტატი ამხ. გ. კოპლამაზაშვილი.

არტელ „ტყემრეწვის" ავეჯეულობის ქარხანაში წვიმა ჩამოდის, მაგრამ ეს არ აწუხებს საქალაქო საბჭოს დეპუტატ ნ. ფურცელაძეს, რომელიც ამ არტელს თავმჯდომარეობს. წლების მანძილზე ერთმანეთს ხელს უშლიან მუშაობაში სიღნაღის სახელმწიფო თეატრი და ვაჟთა საშუალო სკოლა, რომლებიც ერთდაიმავე ბინაშია მოთავსებული.

აი რას უსაყვედურებენ სიღნაღელი ამომრჩევლები საქალაქო საბჭოს დეპუტატებს. საქალაქო საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ამომრჩეველთა ეს მოთხოვნები.

**გ. ყაჯრიშვილი**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# მეტი ყურადღება ხეხილის ბაღების გაშენებას

უკანასკნელ წლებში მეხილეობა სწრაფად ვითარდება. მარტო წელს გაზაფხულზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა დარგეს 2.844 ჰექტარი ხეხილი. დავალება დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული აჭარაში, სამხრეთ ოსეთში და ცაგერის, ადიგენის, ქარელის, თეთრი წყაროს, კაჭრეთის, გარდაბნის, დმანისის, ახალქალაქის რაიონებში, განსაკუთრებით კი აფხაზეთში, სადაც 976 ჰექტარი ხეხილი გააშენეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ჰექტარისა. ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებს წელს 75 ჰექტარი ხეხილი აქვთ გაშენებული, თბილისის გარეუბნის რაიონსაც ამდენივე, ქლუხორისა და ყაზბეგისას — ათ-ათი, თეთრი წყაროს რაიონს — 80 ჰექტარი.

ხეხილი მნიშვნელოვანი რაოდენობით უნდა გაშენდეს მიმდინარე შემოდგომაზეც. რაიონებში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ბაღების გაშენების წლიური გეგმები ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდეს: საკმაო რაოდენობით გამოყოფილია ნერგი, რომლის ფასები შემცირებულია და სხვ. მაგრამ ამ ხელსაყრელ პირობებს ყველგან მთლიანად არ იყენებენ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, სიღნაღის რაიონს ხეხილის საგაზაფხულო გეგმაც არ შეუსრულებია, დაურგავი დატოვა 20 ჰექტარი. გეგმის შესრულებას ასევე დააკლო გორის რაიონმა — 35 ჰექტარი, ახმეტისამ — 16 ჰექტარი. ჩამორჩნენ წყალტუბოს, ახალციხის, გურჯაანის, თელავის და მთელი რიგი სხვა რაიონებიც.

ცალკეულ რაიონებში ყურადღებას არ აქცევენ ლეღვისა და ბროწეულის დროულად გაშენებას კოლმეურნეობებში. ამის შედეგია, რომ, მაგალითად, ზუგდიდის, მაიაკოვსკისა და ყვარლის რაიონებში გეგმით გათვალისწინებული ხუთ-ხუთი ჰექტარიდან ერთი ჰექტარი ლეღვიც არ გაუშენებიათ, ცხაკაიას რაიონში კი გეგმის შესრულებას 3 ჰექტარი დააკლეს, გურჯაანის რაიონში — 4, სიღნაღის — 2, ახმეტის — 6, სამტრედიის რაიონში — 17 ჰექტარი. ასეთივე მდგომარეობაა ბროწეულის გაშენების მხრივაც.

საკარმიდამო ფართობებზე სხვადასხვა ხეხილის გაშენების დავალება მთლიანად რესპუბლიკაში თითქმის ორმაგად არის შესრულებული. აქედან აფხაზეთში თითქმის შვიდმაგად. დაწინაურდნენ აგრეთვე აჭარა და ქუთაისის, თეთრი წყაროს, თბილისის გარეუბნის, დმანისის, გორის, მთელი რიგი სხვა რაიონები. მაგრამ ყველგან ასე როდია. თელავის, გარდაბნის, ონის, თერჯოლისა და წალენჯიხის რაიონებში, სადაც გეგმა საკარმიდამო ფართობებზე ათასობით ძირი ხეხილის გაშენებას ითვალისწინებს, დავალების შესრულების მხრივ არაფერი არ არის გაკეთებული. მცხეთის რაიონში გეგმის შესრულებას 3.500 ძირი დააკლეს, ახალციხის რაიონში — 1.400, ახმეტის — 1.500, თიანეთის — 1.169, ასპინძის რაიონში — 800 ძირი.

მიმდინარე შემოდგომაზე გასაშენებლად რესპუბლიკის საკოლმეურნეო და სახელმწიფო სანერგეებში, აგრეთვე სამტრესტის ბებნისისა და გორის მეხილეობა-მებოსტნეობის სასელექციო სადგურში მდიდარი ასორტიმენტის, შერჩეული საუკეთესო ჯიშების ორ მილიონამდე ნერგია გამოყვანილი. ხეხილის გაშენების სეზონი უკვე დადგა. რა კეთდება ფაქტიურად გეგმის შესასრულებლად? ბევრგან მუშაობა დაწყებულიც არ არის, ხელიდან უშვებენ საუკეთესო დროს. ზოგიერთ რაიონში ჯერ სანერგეებიდან ნერგის გატანაც არ დაუწყიათ.

სერიოზული ჩამორჩენაა სანერგეების გაშენების საქმეში. აგროწესების მიხედვით რესპუბლიკური გეგმით გათვალისწინებული 100 ჰექტარამდე სანერგის მოწყობა ახლა უნდა მთავრდებოდეს. დათესილი უნდა იყოს ბალი, ატამი, ჭერამი, ტყემალი და სხვ. მაგრამ 46 რაიონიდან, რომელთაც გეგმა აქვთ, ხეხილსანერგეების რესპუბლიკური კანტორიდან თესლი წაღებული აქვს მხოლოდ 5 რაიონს, 6.000 კილოგრამიდან გატანილია მხოლოდ 500 კილოგრამი. ჩამორჩენილთა შორის არიან: აჭარის ასს რესპუბლიკისა და ზუგდიდის, ვანის, საჩხერის, ქარელის, კასპის, თბილისის გარეუბნის, მცხეთის, გარდაბნის, ბოლნისის და მთელი რიგი სხვა რაიონები.

ამოცანა ის არის, რომ გამოვასწოროთ ჩამორჩენა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხეხილის სანერგეების გაშენება დროულად დავამთავროთ, ამასთანავე ყინვის დაწყებამდე შევასრულოთ ბაღების გაშენებისა და რემონტის მიმდინარე წლის გეგმა.

**ტ. სიმონიშვილი**

# დათესილია 293.416 ჰექტარი ხორბალი

ნოემბრის მესამე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებში 15.615 ჰექტარი ხორბალი დათესეს. სულ 15 ნოემბრისათვის დათესილია 293.416 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 104,2 პროცენტით.

ზოგან დავალება შეუსრულებელია. სამხრეთ ოსეთში გეგმა შესრულებულია 92,2 პროცენტით, ასპინძის რაიონში — 92,4, ხაშურის — 99,8, მარნეულის — 92, ქვემო სვანეთის — 51,5, ცაგერის — 65,3, ჭიათურის — 77,8, თერჯოლის — 42,9, ზესტაფონის — 12,8, მაიაკოვსკის — 96,7, ვანის — 81,7, წულუკიძის — 59,8, ქუთაისის რაიონში — 25,2 პროცენტით.

ზემო სვანეთში ხორბლის თესვა არ დაუწყიათ (დასათესი აქვთ 150 ჰექტარი).

# აღებულია 5.560 ჰექტარი შაქრის ჭარხალი

15 ნოემბრისათვის შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების რესპუბლიკური გეგმა საქართველოს კოლმეურნეობებში შესრულებულია 92,7 პროცენტით, აღებულია 5.560 ჰექტარი ჭარხალი. სამხრეთ ოსეთში დავალება შესრულებულია 95,3 პროცენტით, ხაშურის რაიონში — 98,5, ქარელის — 93,1, კასპის — 91,4, გორის რაიონში — 85 პროცენტით.

# ვალდებულებათა შესრულება

**გორი.** (საკ. კორ.). გორის საწარმოებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების საქმეში. საკონსერვო ქარხანამ ათი თვის დავალება 109,1 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 648 ათასი ქილა კონსერვი. ამასთანავე წელს ქარხანამ საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. უმაღლესი ხარისხის პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 67,7 პროცენტისა 77,6 პროცენტს შეადგენს. გაფართოვდა ასორტიმენტიც, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 19,9 პროცენტით, საამქროებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. დანერგილია სტახანოვური შრომა. მეკონსერვეთა შორის ახლა 242 სტახანოველია. უკანასკნელ პერიოდში რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებით აქ 70 ათასი მანეთი ეკონომია გაწიეს.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა. კომბინატის საწარმოებმა წლიური გეგმა პირველი ნოემბრისათვის 108,1 პროცენტით შეასრულეს და 5.528 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვეს. კომბინატის კოლექტივმა იკისრა სამეურნეო წლის დამთავრებამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია და 100 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცეს სახელმწიფოს.

წარმატებით გაანაღდეს საოქტომბრო ვალდებულება გორის სატარე-საყუთე და შპალსაჟღენთმა ქარხნებმა. სატარე კასრების დამზადების წლიური გეგმა ქარხანამ 108,4 პროცენტით შეასრულა. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და 42 ათასი მანეთის მასალა დაზოგა. ათი თვის გეგმა 123,2 პროცენტით შეასრულა აგრეთვე ხორცკომბინატმა.

# პრემიები შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკის სარეწაო კოოპერაციის სისტემის არტელებში სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგები. პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო ვოროშილოვის სახელობის არტელი (გამგეობის თავმჯდომარე კ. ხაბურზანია, პარტორგანიზაციის მდივანი ქ. ბაზარაშვილი) და არტელი „ქვის ნაკეთობა" (თავმჯდომარე კ. სოხაძე, პარტორგანიზაციის მდივანი გ. სავინოვი) და მიაკუთვნა მათ ფულადი პრემია 22.500 მანეთი თვითეულს.

მეორე პრემია 15 ათასი მანეთი მიეკუთვნა არტელ „მელითონეს" (თავმჯდომარე მ. მემარნიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ბოლქვაძე), ხოლო მესამე პრემია 12 ათასი მანეთი — არტელ „ქიმპლასტმასას" (თავმჯდომარე მ. წერეთელი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. რიჟაკი).

# მზრალად ხვნა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 15 ნოემბრის ცნობებით)

| რაიონების დასახელება | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 45,8 |
| სამხრეთ ოსეთის ა. ო. | 49,2 |
| აბაშის | 39,1 |
| ცხაკაიას | 0 |
| გეგეჭკორის | 49,2 |
| ზუგდიდის | 0 |
| წალენჯიხის | 24,5 |
| ჩხოროწყუს | 40,0 |
| ქუთაისის | 14,2 |
| წყალტუბოს | 34,7 |
| სამტრედიის | 29,2 |
| წულუკიძის | 11,0 |
| ვანის | 49,8 |
| მაიაკოვსკის | 13,3 |
| ზესტაფონის | 239,7 |
| თერჯოლის | 46,3 |
| ტყიბულის | 0 |
| ამბროლაურის | 0 |
| ცაგერის | 0 |
| ქლუხორის | 373,0 |
| ახალქალაქის | 77,6 |
| ბოგდანოვკის | 111,6 |
| ახალციხის | 88,3 |
| ადიგენის | 42,4 |
| ასპინძის | 64,5 |
| ხაშურის | 93,0 |
| ქარელის | 78,7 |
| გორის | 50,9 |
| კასპის | 17,9 |
| ბორჯომის | 85,8 |
| წალკის | 79,4 |
| დუშეთის | 60,3 |
| თეთრი წყაროს | 37,2 |
| თიანეთის | 115,5 |
| გურჯაანის | 44,3 |
| კაჭრეთის | 40,5 |
| სიღნაღის | 60,9 |
| წითელწყაროს | 101,1 |
| თელავის | 25,6 |
| ახმეტის | 24,1 |
| ყვარლის | 21,3 |
| ლაგოდეხის | 33,3 |
| თბილისის გარეუბნის | 72,3 |
| მცხეთის | 21,2 |
| გარდაბნის | 50,4 |
| მარნეულის | 17,6 |
| ბოლნისის | 21,4 |
| საგარეჯოს | 51,0 |
| დმანისის | 63,4 |
| სულ საქართველოს სსრ | 59,3 |

# მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გახსნა

**ვარშავა**, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღეს 19 საათსა და 30 წუთზე პოლონეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ვარშავაში „პოლონური სიტყვის სახლში" საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი.

ინგლისის ეგრეთწოდებულმა „მუშათა" მთავრობამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კარნახით მოქმედებს, ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ საშუალება არ მიეცა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის გამოეხატათ თავიანთი მტკიცე მისწრაფება მშვიდობისადმი და დაესახათ ქმედითი პროგრამა ახალი მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად, რომლის გაჩაღება სურთ ამერიკულ-ინგლისელ იმპერიალისტებს. ინგლისელ ლეიბორისტთა ლიდერებმა ეტლიმ და ბევინმა მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე გამოამჟღავნეს თავიანთი თავი, როგორც საყოველთაო მშვიდობის უბოროტესმა მტრებმა, ჩაფუშეს რა კონგრესის მოწვევა შეფილდში ინგლისელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ, რომელიც გადაჭრით ჰგმობს თავისი მთავრობის აგრესიულ პოლიტიკას.

მაგრამ მათი დანაშაულებრივი გეგმები სავსებით ჩაიშალა. თავისუფლებისმოყვარე პოლონელმა ხალხმა, რომელმაც გამოსცადა ომის ყველა საშინელება, სიხარულით და სიამაყით შესთავაზა მშვიდობის წარმომადგენელთა შეკრებილიყვნენ პოლონეთის გმირ დედაქალაქ ვარშავაში. განსაკუთრებული სიხარულით და სტუმართმოყვარეობით შეხვდა პოლონელი ხალხი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულ ასობით დელეგატს.

„პოლონური სიტყვის სახლის" სადღესასწაულოდ მორთულ უზარმაზარ დარბაზში შეიკრიბნენ 70-ზე მეტი ქვეყნის დელეგატები.

ბევრმა მათგანმა უდიდესი სიძნელენი გადალახა და პოლიციური რეპრესიები განიცადა, სანამ კონგრესზე მოხვდებოდა. ხალხთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა დღემდე ვერ შეძლო ვარშავაში ჩამოსვლა. ისინი დააკავეს პოლიციის კორდონებმა, სპეციალურად შექმნილმა ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა დირექტივით, რომლებსაც აშინებთ მშვიდობის მომხრეთა ხმა.

სხდომის დარბაზი დელეგატებით და სტუმრებით აივსო. მსოფლიოს ყველაზე შორეული ადგილებიდან ჩამოსული ადამიანები სიხარულით ართმევენ ერთმანეთს ხელს, მიესალმებიან თანამებრძოლთ, რომლებიც მედგრად იცავენ მშვიდობის საქმეს.

დელეგატები და მრავალი სტუმარი მქუხარე ტაშით ხვდებიან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წევრებს. დიდი სიმფონიური ორკესტრი ასრულებს შოპენის „პოლონეზს".

საზეიმო ვითარებაში მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჟოლიო-კიური მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესს გახსნილად აცხადებს.

მუდმივი კომიტეტისა და ყველა დელეგატის სახელით ჟოლიო-კიური დიდ მადლობას უძღვნის პოლონეთის მთავრობას და მშვიდობის მომხრეთა პოლონეთის კომიტეტს კონგრესის მონაწილეებისადმი გაწეული გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის. იგი აღნიშნავს, რომ დელეგატებს უდიდესი დახმარება გაუწია აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ხალხმა, რომელმაც ხელი შეუწყო მათ სწრაფად ჩამოსვლას ვარშავაში...

მშვიდობის ყველა დამცველის სახელით, ამბობს ჟოლიო-კიური, მე მინდა განსაკუთრებით მივესალმო ჩვენს ინგლისელ მეგობრებს და მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის ინგლისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს.

ჩვენ დიდად ვაფასებთ მათს მისწრაფებას გადაელახათ ყოველგვარი დაბრკოლება, რასაც მათ ინგლისის მთავრობა უქმნიდა, რათა შეუძლებელი გაეხადა კონგრესის მოწვევა.

ჩვენ მადლობელი ვართ თქვენი, ინგლისელო მეგობრებო, თქვენს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. თქვენს გულისწყრომას იზიარებს ყველა პატიოსანი ადამიანი, რომელსაც მიაჩნია, რომ მშვიდობა უდიდესი სიკეთეა კაცობრიობისათვის.

ინგლისის მთავრობის ცდებს, განაგრძობს ჟოლიო-კიური, რომ ჩაეშალა კონგრესი, ის შედეგი როდი მოჰყვა, რასაც ეს მთავრობა მოელოდა. ამ ცდებს შედეგად მოჰყვა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერება. ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს მშვიდობისა და სიმართლის იდეის გამარჯვებას. პოლონეთში ჩვენი კონგრესის მოწვევა კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია მთელ მსოფლიოში მშვიდობის ყველა მომხრის მძლავრი საერთაშორისო სოლიდარობისა და მჭიდრო მეგობრობისა.

შემდეგ კონგრესს მიესალმა ვარშავის რადის ნაროდოვას პრეზიდიუმის თავმჯდომარე ექი ალბრეხტი.

ვარშავის მოქალაქეთა სახელით, თქვა ალბრეხტმა, მოგესალმებით თქვენ, მთელი მსოფლიოს დელეგატებს, თქვენ, მართალი საქმისათვის, მშვიდობისათვის მებრძოლთ.

მეორე კონგრესი შეიკრიბა იმ მომენტში, როდესაც მთელ ცივილიზაციას, მთელ კაცობრიობას, რომელმაც გამოსცადა მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, ემუქრებიან ახალი ომის გამჩაღებლები. კორეელი ხალხის ქალაქებსა და სოფლებს უკვე უშენენ ბომბებს. მაგრამ მილიონობით ადამიანი, სარწმუნოებისა და პოლიტიკური რწმენის განურჩევლად, იბრძვის მშვიდობისათვის და მოითხოვს ატომური ბომბის აკრძალვას. თქვენ, აქ შეკრებილნი, გამოხატავთ მათ მისწრაფებას მშვიდობისადმი.

ინგლისის მთავრობამ, განაგრძო შემდეგ ალბრეხტმა, ყველაფერი გააკეთა, რათა ხელი შეეშალა კონგრესის მოწვევისათვის. მაგრამ მას არ ძალუძს ჩაახშოს მილიონობით მშვიდობის მომხრეთა ხმა. ეს ხმა ახლა მთელ მსოფლიოში გაისმის ჩვენი დედაქალაქიდან, ვარშავიდან.

მოგესალმებით ვარშავაში, რომელიც ომით დასახიჩრებული იყო. ჩვენი გმირი ქალაქი მადლობელია, რომ მას პატივი აქვს მიიღოს ამ კონგრესის მონაწილენი. ვარშავის მოსახლეობამ კარგად იცის, თუ რა არის ომი და რა მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის ბრძოლას. ყოველი მტკაველი მიწა ვარშავაში გაჟღენთილია ჰიტლერელების მიერ გაჟლეტილი ჩვენი შვილების სისხლით. ვარშავამ დაკარგა 800 ათასი ბავშვი და ქალი. ქალაქის სახლების სამი მეოთხედი ნანგრევებად იქცა. ამასთან ბარბაროსები არ ზოგავდნენ მუზეუმებს, სკოლებსა და უნივერსიტეტებს, ანგრევდნენ კოპერნიკის, შოპენისა და პოლონეთის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლებს.

მაგრამ ჩვენ, თქვა ალბრეხტმა, დახმარების ხელი გამოგვიწოდა ძმურმა საბჭოთა არმიამ. იგი დაგვეხმარა თავისუფალი ხალხი გავმხდარიყავით. ახლა ვარშავა აღორძინების გზაზეა. ჩვენ ვაშენებთ ახალ ქალაქს. ჰიტლერელ მკვლელებს სურდათ სასაფლაოდ გადაექციათ ვარშავა, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს.

ჩვენ ავაგეთ ახალი ვარშავის გალავანი, რომელიც ომზე გამარჯვების სიმბოლოა, და ახლა ვარშავის გალავნიდან მთელ მსოფლიოში გაისმის მშვიდობის მომხრეთა ხმა.

დასასრულ ალბრეხტმა თქვა:

ჩვენ, ვარშავის მცხოვრებლებს, მხურვალედ გვსურს მშვიდობა და მთელი ძალღონით ვიბრძოლებთ მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის. დაე, თქვენს ხმას შეუერთდეს ახალი აღორძინებული ვარშავის ხმა.

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!

შემდეგ სიტყვა ეძლევა მუდმივი კომიტეტის წევრს ინგლისის დელეგატს კროუტერს, რომელმაც დელეგატების სახელით მშვიდობის დაცვის პოლონეთის კომიტეტს და მთელ პოლონელ ხალხს მადლობა გადაუხადა იმ შესანიშნავი მიღებისათვის, რაც მათ მშვიდობის წარმომადგენელთ გაუწიეს. კროუტერმა განაცხადა: ინგლისელი ხალხი აღშფოთებულია იმის გამო, რომ მისმა ლეიბორისტულმა მთავრობამ ჩაფუშა კონგრესის მოწყობა შეფილდში.

ჩვენი ეროვნული სიამაყე დიდად შეილახა, თქვა მან, დაირღვა ინგლისელი ხალხის თავისუფლებისმოყვარეობის ტრადიციები. მაგრამ შეფილდში კონგრესის აკრძალვა მშვიდობის დასაცავად ბრძოლას ინგლისში ახალ ბიძგს მისცემს. ვარშავის კონგრესი კიდევ უფრო გააქტიურებს ამ ბრძოლას, იგი დაეხმარება ინგლისელ ხალხს გაიგოს მშვიდობისათვის ბრძოლის დიდი მნიშვნელობა და უზრუნველყოფს მშვიდობის დაცვის ისეთი მოძრაობის შექმნას, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეეფერება.

კონგრესის დღის წესრიგის შესახებ წინადადება შეიტანა მუდმივი კომიტეტის წევრმა ჟან ლაფიტმა. კონგრესის დელეგატებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენება პირველი მსოფლიო კონგრესის შემდეგ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის საერთო მოღვაწეობის და ომის მზარდი საფრთხის გამო მოძრაობის გაფართოების შესახებ. მომხსენებელი ფ. ჟოლიო-კიური.

2. მოხსენება იმ ფართო მოღვაწეობის გაშლის საშუალებათა შესახებ, რომლის მიზანია ომის პროპაგანდის აკრძალვა, ატომური იარაღის კანონგარეშედ გამოცხადება, შეიარაღების საყოველთაო შეზღუდვა და ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე კონტროლის დაწესება. მომხსენებელი პიეტრო ნენი.

3. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ახალი შემადგენლობის არჩევა.

შემდეგ ლაფიტის წინადადებით კონგრესმა ერთხმად დაადგინა შეიქმნას შემდეგი კომისიები:

1. პოლიტიკური კომისია.

2. ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ამ ღონისძიებებისადმი კონტროლის საკითხთა კომისია.

3. ომის პროპაგანდის აკრძალვის საკითხის კომისია.

4. ქვეყნებს შორის ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარების საკითხის კომისია.

5. ქვეყნებს შორის ნორმალური კულტურული ურთიერთობის დამყარების საკითხის კომისია.

6. აგრესიის ცნების განმსაზღვრელი კომისია.

7. საორგანიზაციო კომისია.

* * *

ინგლისის დელეგატმა მონტეგიუმ წაიკითხა ინგლისის პარლამენტის წევრის ლეიბორისტ ს. ო. დევისის მიმართვა კონგრესის დელეგატებისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„ნება მიბოძეთ ჩემი ქვეყნის ყველა მამაკაცისა და ქალის სახელით, რომლებიც ხელმძღვანელობენ წესიერებისა და პატიოსნების გრძნობით, უღრმესი გულისწყრომა და აღშფოთება გამოვთქვა იმ ზომების გამო, რომლებიც ზოგიერთმა პირმა იხმარა, რათა საბოტაჟი გაეწიათ თქვენი ღონისძიებისათვის, რომ ინგლისში მოწვეული ყოფილიყო კონგრესი. მე მივაქვს უდავო დამამტკიცებელი საბუთი, რომ ის პირთა მოქმედება, რომლებიც საბოტაჟს უწევდნენ მშვიდობის მომხრეთა კონგრესს, ახლა უკვე მათ წინააღმდეგვე შებრუნდა.

ინგლისში სულ უფრო მეტი შეშფოთებული ადამიანი აყენებს კითხვას, არსებითად რატომ იქნა აკრძალული მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი, კითხვას, რომელსაც არ გამოაქვეყნებს ინგლისის პრესა და რომელზეც ის არ მისცემს პასუხს. ხალხი თვითონ პოულობს ამ კითხვაზე პასუხს, რომელსაც შეუძლია აღაფრთოვანოთ თქვენ, კონგრესის დელეგატები.

თუმცა მე პარლამენტის უბრალო რიგითი წევრი ვარ, მაგრამ უკანასკნელი 3,5 თვის განმავლობაში მივიღე ათასობით წერილი, პეტიცია და რეზოლუცია ცალკეული პირებისაგან, ინგლისელთა დიდი ჯგუფებისგან, ცალკეული პროფკავშირების, ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების, ქალთა და სხვა ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მშვიდობისაკენ მოუწოდებენ და შიშს გამოთქვამენ იმ კატასტროფის წინაშე, რაც ინგლისს მოელის მესამე მსოფლიო ომის შემთხვევაში.

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ ჩემი განსაკუთრებით გულთბილი სურვილი და მისალმება ყველა დელეგატისადმი, რომლებიც თქვენთან ერთად მონაწილეობას იღებენ კონგრესის მუშაობაში, რომლებიც ჩამოვიდნენ ქვეყნებიდან, სადაც დამხობილია საუკუნეობრივი ჩაგვრა, და იმ დელეგატებისადმი, რომლებიც ჯერ კიდევ მონაწილეობას იღებენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

განაგრძეთ თქვენი მუშაობა მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

თქვენი გამოსვლა ცოცხალ გამოხმაურებას პოვებს მილიონობით ადამიანის გულში მსოფლიოს ყველა ნაწილში და ჩვენს ქვეყანაშიც კი, სადაც ხელისუფლებმა ამ ცოტა ხნის წინათ თქვენ უარი გითხრეს სტუმართმოყვარეობაზე, რასაც სიხარულით გაგიწევდათ ჩვენი ხალხი".

შემდეგ კონგრესის დელეგატებმა მქუხარე ტაშით აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ:

ფრედერიკ ჟოლიო-კიური — თავმჯდომარე, პიეტრო ნენი, ეჟენი კოტონი, ლუი საიანი, გი დე ბუასონი, ჯ. დ. ბერნალი, ალექსანდრე ფადეევი, ლასარო კარდენასი, გო მო-ჟო, გაბრიელ დ'არბუსიე, ანეტკა გოდინოვა-სპურნა, ჟან ლაფიტი, დე-შამბრენი, პ. ვ. გულიაევი, დე გრადა, ფენოალტეა, აივორ მონტეგიუ, ბორსარი.

არჩეულ იქნენ პრეზიდიუმის წევრები ცალკეული ქვეყნებისაგან: საფრანგეთისაგან: ივ ფარჟი, ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერი, აბატი ჟან ბულიე, შარლ ტიიონი, პიერ კოტი, ეჟენ არი, ფრანსუაზა ლეკლერკი, პასტორი ბოსკი, ფუქსი, ლორან კაზანოვა; ლუქსემბურგისაგან: ჟიულ ბერკმანი; შვეიცარიისაგან: ანდრე ბონარი, ფონ ფიშერი; გერმანიისაგან: ტომას მანი, ანა ზეგერსი, არნოლდ ცვაიგი, შტრუქსი, ჰენრიხ ფინკი; იტალიისაგან: ანდრეა გაჯერო, ემილიო სერენი, არტურო ლაბრიოლა, ჩეოლოტო, პიეტრო ამადეო, მალტონი; კორეისაგან: პაკ დენ აი; იუგოსლავიისაგან: პერო პოპივოდა; რუმინეთისაგან: მიხეილ სადოვიანო; უნგრეთისაგან: ერჟებეტ ანდიჩი; ჩეხოსლოვაკიისაგან: გორაკი, იან მუკაჟოვსკი, გრომანი, მრონეკი; ალბანეთისაგან: მუსარაი; პოლონეთისაგან: ინფელდი, დემბოვსკი, დლუსკი; სსრ კავშირისაგან: ლ. სოლოვიოვი, ი. ერენბურგი, ნ. პოპოვა, ნ. ტიხონოვი, ა. კორნეიჩუკი; კანადისაგან: ჯეიმს ენდიკოტი; ამერიკის შეერთებული შტატებისაგან: ჰოვარდ ფასტი, პოლ რობსონი, ფლეტჩერი, დიუბუა; მექსიკისაგან: ლომბარდო ტოლედანო, ხერბერტო ხარა; კუბისაგან: ხუან მარინელიო, ენტრალტო; პორტო-რიკოსაგან: გონსალესი; ვენესუელისაგან: გაბალდონი; კოლუმბიისაგან: ბალდომერო; კოსტა-რიკისაგან: ხეველი, მონხე; ეკვადორისაგან: ეჩევერია; ჩილისაგან: პაბლო ნერუდა; არგენტინისაგან: ოლივერი, იტურასპე; ურუგვაისაგან: სოარესი, მასერა; ბრაზილიისაგან: ამადუ, კიალიო; ფინეთისაგან: მელტი; შვეციისაგან: ვარემინსი; დანიისაგან: მოგენს ფოგი; ბელგიისაგან: კოსინი; საბერძნეთისაგან: კოკალისი; კვიპროსისაგან: პარიასიდესი; ესპანეთისაგან: პიკასო, ხირალი; ალჟირისაგან: ბენ ისმაილი, ალ ბუშამა; ეგვიპტისაგან: საად ქამელი; სამხრეთ აფრიკის კავშირისაგან: ჯონსონი; ლიბანისაგან: ტაბეტი, ხანა შაჰალი; ინდონეზიისაგან: დოქტორი იეოე სიკ იენი; ბულგარეთისაგან: ცოლა დრაგოიჩევა, ტოდორ პავლოვი; ინგლისისაგან: კროუტერი, ჯონ მილერი, ჰენდერსონი, ვუდარდი, ბეტი რეა, ტაკფილდი, ჯონსონი; სირიისაგან: შეიხ მოჰამედ ალ-აშმარი, აბდელ სალამ ჰეიბარი, ამად აბაზა; ისრაელისაგან: მ. იარი, თევფიქ ტუბი; ავსტრალიისაგან: ჯესი სტრიტი; ჩინეთისაგან: მაო ან-ჩუ, ლიუ ნინ-ი, ემი სიაო; მადაგასკარისაგან: რაზაკარივონი; თურქეთისაგან: ნაზიმ ჰიქმეთი; ინდოეთისაგან: ვალტოლი, ხ. ჩატოპადხიაი, დოქტორი კოსამბი.

კონგრესის დელეგატები უდიდესი ენთუზიაზმით, მქუხარე ოვაციით მიესალმნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მამაცი კორეელი ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც არჩეულ იქნენ პრეზიდიუმში.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონგრესის სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა გაიმართება 17 ნოემბერს 9 საათსა და 30 წუთზე ვარშავის დროით.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის პირველი სხდომის დამთავრების შემდეგ მოეწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც კონგრესის პრეზიდიუმის წევრებმა უპასუხეს კორესპონდენტთა შეკითხვებს. ივ ფარჟმა, კროუტერმა, ბერნალმა, დ'არბუსიემ განაცხადეს, რომ, მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, რაც კონგრესის დელეგატების წინაშე წარმოიშვა, თითქმის ყველა მათგანი ჩამოვიდა პოლონეთის დედაქალაქში. პრესკონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამერიკის 15 დელეგატმა, მათ შორის მშვიდობისათვის ისეთმა დაუღალავმა მებრძოლებმა, როგორიც არიან პოლ რობსონი, ჰოვარდ ფასტი და სხვები, ვერ მიიღეს თავიანთი ქვეყნიდან წამოსვლის შესაძლებლობა, რომ ბრაზილიის 60 დელეგატიდან ვიზა მიიღო სულ 4 კაცმა, ხოლო ავსტრალიის მთავრობას საერთოდ არც ერთი ვიზა არ გაუცია.

კროუტერმა აღნიშნა, რომ ლეიბორისტული მთავრობის უარმა კონგრესის დელეგატებისათვის ვიზების მიცემაზე ინგლისის მშრომელთა ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი იძულებული გახდა გამოექვეყნებინა განცხადება, რომლითაც ამაოდ ცდილობდა გაემართლებინა თავისი მთავრობის სამარცხვინო მოქმედება.

დ'არბუსიემ აღნიშნა, თუ რა დიდი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდათ კოლონიური ხალხების წარგზავნილებს, რათა კონგრესზე ჩამოსულიყვნენ. მიუხედავად ამისა, ყველა ისინი თავის დროზე ჩამოვიდნენ ვარშავაში, რაც მოწმობს მშვიდობისმოყვარე ხალხთა მტკიცე მისწრაფებას — დაიცვან მშვიდობა და დასახონ ბრძოლის ქმედითი პროგრამა.

# ამერიკის კომპარტიის ხელმძღვანელთა განცხადება

**ნიუ-იორკი**, 15 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის კომპარტიის ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი ცდილობენ მიაღწიონ ცნობილი უცხოელი ადვოკატების დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოში თავიანთი აპელაციის არგუმენტირებისათვის ფოლი-სკვერის პროცესზე გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ. კომპარტიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ეს აუცილებელი გახდა ისტერიის იმ ახლანდელი ატმოსფეროს გამო, რომლის დროსაც ამერიკელი ადვოკატები ჩაყენებული არიან განსაკუთრებით მძიმე პირობებში.

ფოლი-სკვერის პროცესზე მსჯავრდადებულ კომპარტიის 11 ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: ამ კვირაში ჩვენ უნდა წარვუდგინოთ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოს იმის დასაბუთება, რომ სმიტის კანონი, რომლის საფუძველზეც ჩვენ მსჯავრი დაგვდეს, არაკონსტიტუციურია. ამას წინათ უმაღლესი სასამართლო დათანხმდა განიხილოს ჩვენი აპელაცია მხოლოდ ამ საფუძველზე.

როგორც ცნობილია, ჩვენი ადვოკატები — სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების და სოციალური მდგომარეობის პირნი — მოსამართლე მედინამ დასაჯა იმისათვის, რომ ისინი ენერგიულად იცავდნენ თავიანთ კლიენტებს. ამჟამად ისინი თვითონ მსხვერპლი არიან. მათ ბრალად სდებენ სასამართლოსადმი უპატივცემლობას. ისინი ადვოკატური პრაქტიკის აკრძალვის საფრთხის წინაშე არიან.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ მიზეზით კომპარტიის ლიდერები იძულებული იყვნენ მიემართნათ ცნობილი უცხოელი ადვოკატებისათვის, რომელთაც არ გამოუჩენიათ მერყეობა კომუნისტებისა და კომპარტიის კანონიერ უფლებათა დაცვის საქმეში.

განცხადების ბოლოში მოთავსებულია ყველა ჭეშმარიტი დემოკრატისადმი მიმართვა — აწარმოონ ბრძოლა კომპარტიის ლიდერების საქმეზე გამოტანილი განაჩენის გაუქმებისათვის.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია

## 16 ნოემბრის პლენარული სხდომა

**ნიუ-იორკი**, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღევანდელი დილის პლენარული სხდომის დასაწყისში გენერალურმა ასამბლეამ განიხილა მთელი რიგი ადმინისტრაციული საკითხები, ისეთი, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფოსტო სამსახურის მოწყობის საკითხი და ა. შ.

შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა მრავალმხრივი კონვენციებისადმი შენიშვნების საკითხის განხილვას, რომლის გამო წარდგენილი იყო მეექვსე (იურიდიული) კომიტეტის მოხსენება.

ეს საკითხი გენერალურმა მდივანმა ასამბლეის განსახილველად მას შემდეგ შეიტანა, რაც ზოგიერთი სახელმწიფო წინაალუდგა გენერალური მდივნის უკანონო პრაქტიკას, რომელმაც განაცხადა, რომ იგი უარს იტყვის გენოციდის შესახებ კონვენციის სარატიფიკაციო სიგელების მიღებაზე, რომლებიც შეიცავენ შენიშვნებს, იმ შემთხვევაში, თუ ამ შენიშვნების მიმართ საწინააღმდეგო მოსაზრებებს წარმოადგენს კონვენციის თუნდაც ერთი მონაწილე. გენერალურმა მდივანმა სთხოვა ასამბლეას მისცეს სახელმძღვანელო მითითებანი იმ წესის შესახებ, რომელიც მან უნდა შეასრულოს ასეთ შენიშვნებთან დაკავშირებით.

მეექვსე კომიტეტში ამ საკითხის განხილვისას სსრ კავშირის დელეგაცია აღნიშნავდა: ის გარემოება, რომ გენერალურმა მდივანმა უარი თქვა მიიღოს გენოციდის შესახებ კონვენციის სარატიფიკაციო სიგელები, რომლებიც შენიშვნებს შეიცავენ, ეწინააღმდეგება კონვენციას გენოციდის შესახებ, რომელიც არ აწესებს რაიმე შეზღუდვას ან განსაკუთრებულ პროცედურას დეპოზიტარის მიერ რატიფიკაციის მიღებისათვის. საბჭოთა დელეგაცია აგრეთვე აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო კონვენციების ხელმოწერის ან რატიფიკაციის დროს შენიშვნების წარმოდგენა აღიარებულია თვითეული სახელმწიფოს უცილობელ უფლებად, რაეთ სუვერენულ უფლებად, რომელიც არ შეიძლება სხვა სახელმწიფოების მხრივ განხილვის საგანი გახდეს.

მეექვსე კომიტეტის უმრავლესობამ მიიღო რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს — ეთხოვოს საერთაშორისო სასამართლოს წარმოადგინოს საკონსულტაციო დასკვნა გენოციდის შესახებ კონვენციისადმი შენიშვნების საკითხზე, კერძოდ, დასკვნა, შეიძლება თუ არა შენიშვნის წარმომდგენი სახელმწიფო ჩაითვალოს კონვენციის მონაწილედ, თუ ამ შენიშვნის წინააღმდეგია კონვენციის ერთი ან რამდენიმე მონაწილე და ა. შ.

ასამბლეას წარუდგინეს აგრეთვე შესწორება მთელმა რიგმა დელეგაციებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების დელეგაციებმა. ეს შესწორება მოითხოვს დაევალოს გენერალურ მდივანს საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე, „არ გადაუხვიოს თავის პრაქტიკას, რომელიც შეეხება კონვენციებისადმი შენიშვნების მიღებას, ამ შენიშვნათა შესახებ შეტყობინებას და შეკითხვებს მათი დამტკიცების შესახებ."

გენერალური ასამბლეის უმრავლესობის გადაწყვეტილებით რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე და მისი შესწორება წინასწარ განუხილველად დაისვა კენჭისყრელად.

მთლიანად რეზოლუციის პროექტი მიღებულ იქნა 47 ხმის უმრავლესობით 5 ხმის წინააღმდეგ (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია). 5 დელეგაციამ თავი შეიკავა.

ამის შემდეგ განხილულ იქნა საკითხი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნას „უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა გარდაცვალებულად გამოცხადების საერთაშორისო ბიურო".

სსრ კავშირის წარმომადგენელი მოროზოვი გამოვიდა მეექვსე კომიტეტის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს ასეთი ბიუროს შექმნას. მან აღნიშნა, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა გარდაცვალებულად გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება და უნდა გადაიჭრას შემდეგნაირად: იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებმაც ომის პირველ პერიოდში მტრის ოკუპაცია განიცადეს, სრული ინფორმაცია უნდა წარუდგინონ მათი ადგილგადანაცვლებული მოქალაქეების ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე განხორციელებულ იქნას ღონისძიებანი თვითეული დაინტერესებული სახელმწიფოს შინაგანი კანონმდებლობის ფარგლებში.

რეზოლუციის პროექტი დაისვა კენჭისყრელად და მიღებულ იქნა 38 ხმის უმრავლესობით 6 ხმის წინააღმდეგ. 13 დელეგაციამ თავი შეიკავა. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს წინააღმდეგ.

შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხის განხილვას. გენერალური ასამბლეის წარმანდელ სესიაზე იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხის განხილვისას მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც რჩევას იძლევა, რათა ლიბიაში, რომლის შემადგენლობაში შედიან კირენაიკა, ტრიპოლიტანია და თესანი, არაუგვიანეს 1952 წლის 1 იანვრისა შეიქმნას დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. კონსტიტუციის შემუშავებასა და დამოუკიდებელი მთავრობის შედგენაში ლიბიის ხალხისათვის ხელშეწყობის მიზნით დაინიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისარი და საბჭო მისთვის დახმარების გასაწევად და რჩევის მისაცემად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმდინარე სესიას წარედგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისრისა და საფრანგეთის მთავრობის მოხსენებანი თესანის მართვის შესახებ და დიდი ბრიტანეთის მოხსენება — კირენაიკისა და ტრიპოლიტანიის მართვის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხი განხილულ იქნა სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში, რომელმაც მოიწონა რეზოლუციის ერთობლივი პროექტი ამ საკითხზე, წარმოდგენილი 13 ქვეყნის (ეგვიპტე, საბერძნეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ერაყი, იემენი, კანადა, ლიბანი, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სირია, ჩილი და ეკვადორი) დელეგაციების მიერ. რეზოლუციის ეს პროექტი შეიცავს რეკომენდაციებს, რათა „ეროვნული კრება, რომელიც ლიბიის მოსახლეობის ჯეროვანი წარმომადგენელი იქნება, მოწვეულ იქნას რაც შეიძლება მალე და, ყოველ შემთხვევაში, 1951 წლის 1 იანვრამდე", აგრეთვე, რათა „ეროვნულმა კრებამ რაც შეიძლება მალე შეადგინოს ლიბიის დროებითი მთავრობა, ამასთან გაითვალისწინოს, რომ 1951 წლის 1 აპრილი ყველაზე უფრო სასურველი თარიღია ამისათვის".

ამავე დროს პლენარულ სხდომაზე განსახილველად საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა რეზოლუციის პროექტი, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს:

„გაერთიანდეს ლიბიის ნაწილები, — კირენაიკა, ტრიპოლიტანია და თესანი — ერთიან სახელმწიფოდ და შეიქმნას ლიბიის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები;

ლიბიის ტერიტორიიდან სამი თვის ვადაში გაყვანილ იქნან უცხოეთის მთელი ჯარები და სამხედრო პერსონალი და ლიკვიდირებულ იქნას სამხედრო ბაზები".

დღევანდელ პლენარულ სხდომაზე სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში ამ საკითხის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლოპესმა (ფილიპინები), რის შემდეგ დაიწყო ამ საკითხის განხილვა. პირველი გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი, რომელმაც გააკეთა ზოგადი განცხადება იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობა ყოველგვარ ღონეს იხმარს, რათა განახორციელოს 13 სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე ენტეზამი გამოვიდა განცხადებით იმ საკითხზე, რომელიც არ იყო დასმული სხდომის დღის წესრიგში. მოაგონა რა, რომ მიმდინარე სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც თავმჯდომარეს ევალებოდა შეედგინა კომიტეტი 7 წევრისაგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხის განსახილველად და ასამბლეისათვის მოსახსენებლად. თავმჯდომარემ გამოაქვეყნა მის მიერ დასახული კომიტეტის წევრების სია, ამასთან მათ შორის იყო იმ სახელმწიფოთა მხოლოდ ორი წარმომადგენელი, რომლებმაც იცნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მთავრობა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა აღნიშნა ამ წინადადების უმართებულობა, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის საკითხის მიუდგომელი გადაჭრის შესაძლებლობას, და მოითხოვა, რომ თავმჯდომარეს გადაედო ამ საკითხის განხილვა. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

ამის შემდეგ პლენარული სხდომა დაიხურა.

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 16 ნოემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ჯარები ფრონტის ყველა უბანზე ბრძოლას აწარმოებდნენ ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების წინააღმდეგ წინანდელ ზღუდეებზე.

მოწინააღმდეგის ცდებს — შეტევაზე გადმოსულიყვნენ ანჯუს (ანსიუ) ჩრდილოეთით და ტოკუსენის რაიონში — წარმატება არ ჰქონია.

# მშვიდობის მომხრეთა გასამართლება თურქეთში

**ანკარა**, 16 ნოემბერი. (საკდესი). პრესის ცნობით გუშინ ანკარის მეორე სამხედრო-პოლიტიკურ სასამართლოში დაიწყო მშვიდობის მომხრეთა თურქეთის საზოგადოების წევრების საქმის გარჩევა.

საბრალდებო სკამზე სხედან საზოგადოების თავმჯდომარე ბეხიჯე ბორანი, გენერალური მდივანი ადნან ჯავგილი და საზოგადოების წევრები: რეშათ სევინჩსოი, ოსმან ფუათ თოფრაკოღლუ, მუვაკარ გურანი, ვახდედინ ბარუთი, ნაჯი ორმანლი, ქემალ ანილი, თალიათ ჯიხანი, ნევზათ ჯემალ ოზმერიჩი.

მათ წაყენებული აქვთ „ბრალდება" თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 161 მუხლის მიხედვით, რომელიც სასჯელის ვადად ითვალისწინებს სულ ცოტა 5 წელს. საქმის გარჩევა დახურული წესით წარმოებს.

# რეპრესიები მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ ინგლისში

**პრაღა**, 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა ჰაროლდ დევისმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ სკოტლანდ-იარდმა უცხოელ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრებს ლონდონში „ურჩია" არ დაესწრონ მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესს. თუ ისინი მაინც გადაწყვეტენ კონგრესზე წასვლას, ეს უნდა აცნობონ პოლიციას.

# ინგლისის ხელისუფალთა ახალი ანტიდემოკრატიული აქტი

**პრაღა**, 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ინგლისელი სტუდენტები აღშფოთებული არიან სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივნის იტალიელ ჯოვანი ბერლინგუერის ინგლისიდან გაძევების გამო.

ბერლინგუერს ნება არ მისცეს დარჩენილიყო ინგლისში მას შემდეგ, რაც ის 11 ნოემბერს ლონდონის აეროპორტში ჩავიდა ინგლისისა და უელსის სტუდენტთა ეროვნული კავშირის საბჭოს სხდომაზე დასასწრებლად.

ინგლისის სპეციალურმა აგენტებმა გაჩხრიკეს ბერლინგუერის ნივთები და ბარგი, გადაიღეს ბევრი დოკუმენტის პირი და შემდეგ თვითმფრინავით გაგზავნეს იგი ინგლისიდან.

# ავსტრალიის კომპარტიის აპელაციის განხილვა უმაღლეს სასამართლოში

**სიდნეი**, 16 ნოემბერი. (საკდესი). უმაღლესმა სასამართლომ სიდნეიში დაიწყო განხილვა აპელაციისა, რომელშიც ავსტრალიის კომუნისტური პარტია და 10 პროფკავშირი სადავოდ ხდიან კომპარტიის დაშლის შესახებ მიღებულ კანონს.

როგორც ფიქრობენ, ამ აპელაციის განხილვა რამდენიმე კვირას გაგრძელდება.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

**პარიზი**, 15 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა ეროვნული კრების სხდომაზე გააკეთა განცხადება, რომელსაც პარიზის დღევანდელი გაზეთები ახასიათებენ, როგორც „პირველ პასუხს" საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებაზე, რომ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ პოტსდამის შეთანხმების შესრულების საკითხის განსახილველად.

შუმანი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის მთავრობა „კეთილად არის განწყობილი თათბირის მოწვევის პრინციპისადმი" და რომ „ხელიდან გაშვებულ არ უნდა იქნას რაიმე შესაძლებლობა, რომელსაც შეუძლია შეანელოს საერთაშორისო ურთიერთობის საშიში დაძაბულობა". მაგრამ ამასთანავე მან ცხადყო, რომ არსებითად ემხრობა იმას, რომ შენარჩუნებულ იქნას ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა ის ახლანდელი გეზი გერმანიის რემილიტარიზაციისაკენ, რომელიც პოტსდამის შეთანხმების დარღვევის გზით ხორციელდება. ეს იმითაც ჩანს, რომ, შუმანის აზრით, დაძაბული მდგომარეობის შენელების ამოცანა თითქოს შეიძლება „შეთანხმებულ იქნას ატლანტიკის პაქტის ფარგლებში ჩვენი თავდაცვის ორგანიზაციისათვის ზრუნვასთან". შუმანი რომ დასავლეთ სახელმწიფოთა აგრესიულ პოლიტიკას ემხრობა, ამას ადასტურებს მისი მტკიცებაც, რომ პრაღის განცხადება თითქოს „არავითარ სასარგებლო ბაზას არ წარმოადგენს დისკუსიისათვის" და რომ ამ განცხადებით გათვალისწინებული წინადადებანი „მიუღებელია".

შემდეგ შუმანი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს თათბირის შემოფარგვლას „მხოლოდ გერმანიის საკითხით" არ შეუძლია მიგვიყვანოს სასურველ მიზნამდე — საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელებამდე.

შუმანმა მოუწოდა „უფრო ფართო" დღის წესრიგისაკენ, ამასთან მხედველობაში ჰქონდა შორეული აღმოსავლეთის პრობლემები, რომლებიც მის „შეშფოთებას" იწვევენ იმ „საშიში ხასიათის" გამო, რომელიც, მისი სიტყვით, მიიღო აზიის ამბებმა.

შემდეგ გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ფრანსუა ბიიუ; მან მკვეთრად გააკრიტიკა საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღებისაკენ.

მიმართა რა მთავრობას, ბიიუმ თქვა: „თქვენ ხელახლა აიარაღებთ დასავლეთ გერმანიას, რათა ამ რევანშისტულ გერმანიას საშუალება მისცეთ შეეცადოს კენიგსბერგის აღებას და წავიდეს შემდეგ აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ იქვენ არ ფიქრობთ იმაზე, რომ, სანამ რევანშისტული გერმანია შეეცდებოდეს ამას, იგი დაანგრევს საფრანგეთს. ფრანგ ხალხს სულ უფრო ნათლად ესმის ეს. აი რატომ იჩენს იგი დიდ შეშფოთებას...

მაშინ როცა ამერიკელები და ინგლისელები მოითხოვენ გერმანიის არმიის შექმნას, თქვენ აყენებთ წინადადებას ევროპის არმიის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნან გერმანელთა ნაწილები. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ დიდი მდინარე პატარა ღელეებისაგან იქმნება".

შეეხო რა საბჭოთა წინადადებას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოწვევის შესახებ, ფრანსუა ბიიუმ თქვა:

„საბჭოთა კავშირის წინადადება შეესაბამება ფრანგების ინტერესებს. საგარეო საქმეთა მინისტრი შუმანი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ბევრი უთანხმოებაა, მაგრამ განა ამა თუ იმ საკითხის განხილვა მაშინ ხდება, როცა სრული თანხმობაა? თქვენ ამბობთ, აუცილებელია განხილულ იქნას დაწვრილებით საკითხთა მთელი კომპლექსიო. მაგრამ ამას ჩვენ არ ვეთანხმებით. საჭიროა განხილულ იქნას მთავარი და ძირითადი საკითხი: ეს არის გერმანიისა და პოტსდამის შეთანხმების შესრულების საკითხი. საჭიროა ნათლად და გარკვეულად გააკეთონ განცხადება, ცნობს თუ არა საფრანგეთის მთავრობა პოტსდამის შეთანხმებას, როგორც დისკუსიის საფუძველს".

დასასრულ ბიიუმ თქვა, რომ ფრანგ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ომის მომზადების პოლიტიკის წინააღმდეგ. მას ესმის, რომ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა შეესაბამება არა საფრანგეთის ინტერესებს, არამედ ერთი უცხო სახელმწიფოს ინტერესებს.

ბიიუმ შეიტანა წინადადება, რომ ეროვნულმა კრებამ მოიწონოს საბჭოთა კავშირის წინადადება და ურჩიოს მთავრობას შეუდგეს გერმანიის საკითხების განხილვას. მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა 374 ხმით 178 ხმის წინააღმდეგ.

# საიდუმლო მოლაპარაკება მაკარტურის შტაბსა და იაპონიის მთავრობას შორის

**შანხაი**, 15 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტოკიოდან იუწყებიან, იქ ცნობილი გახდა, რომ ამჟამად მაკარტურის შტაბსა და იაპონიის მთავრობას შორის წარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება იაპონიასთან შეერთებული შტატების სამხედრო შეთანხმების პროექტის შესახებ.

ამ შეთანხმების პროექტში გათვალისწინებულია, რომ ამერიკის ჯარები, სამი დივიზიის შემადგენლობით, განაგრძობენ იაპონიის ოკუპაციას 30 წლის განმავლობაში და რომ ეგრეთწოდებული პოლიციის სარეზერვო კორპუსის რიცხობრივი შემადგენლობა იაპონიაში ერთი-სამად გადიდდება. მას შეაიარაღებენ თანამედროვე იარაღით და ფაქტიურად იგი ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობის ქვეშ იქნება, თუმცა ამ კორპუსის ამერიკელთა სარდლობა ინიღბება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით. შემდეგ შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს, რომ იაპონიასა და სამხრეთ კორეის რეჟიმს შორის დადებულ იქნება ანტიკომუნისტური პაქტი და რომ იაპონია მონაწილეობას მიიღებს წყნარი ოკეანის აგრესიულ პაქტში, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები აქეზებენ.

შეერთებული შტატები, როგორც შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს, მთელი საჭირო იარაღით უზრუნველყოფენ იაპონიის ჯარებს და მისცემენ იაპონიას სამხედრო სესხს სულ ცოტა 1 მილიარდი დოლარის რაოდენობით.

**პეკინი**, 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ოქტომბერში გაიმართა მაკარტურისა და მისი პოლიტიკური მრჩევლის სებოლდის საიდუმლო თათბირი იაპონიის სოციალისტური, ლიბერალური და სახალხო-დემოკრატიული პარტიების ლიდერებთან. ტელეპრესის სააგენტო იუწყება, რომ თათბირზე განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების ცალმხრივ საზავო ხელშეკრულებას იაპონიასთან.

უწინარეს ყოვლისა, სებოლდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს იაპონია თავის ნამდვილ მოკავშირედ მიაჩნიათ მომავალ მსოფლიო ომში და ამიტომ ისინი ცდილობენ აღადგინონ იაპონიის სამხედრო ძლიერება და მისი წინანდელი მდგომარეობა აზიაში.

შემდეგ სებოლდმა წამოაყენა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მაკარტურის შტაბის თანამშრომლობით მომზადებული წინადადებანი. მან განაცხადა, რომ ეს წინადადებანი წარედგინება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს როგორც საფუძველი იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შესადგენად.

სებოლდმა მოუწოდა გააუქმონ იაპონიის შეიარაღებისა და იაპონიის სამხედრო მრეწველობის ყველა შეზღუდვა. მან აცნობა იაპონიის აღნიშნული პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, რომ ამერიკისა და იაპონიის ხელისუფლებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს „იაპონიისათვის ეკონომიური ორგანიზაციის" შექმნას. ამ ორგანიზაციის კომპეტენციაში შევა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალდაბანდებასთან იაპონიის მრეწველობაში, საშინაო და საგარეო ვაჭრობაში, აგრეთვე სტრატეგიულ მასალებთან დაკავშირებული საკითხები.

შეეხო რა ტერიტორიულ პრობლემებს, სებოლდმა განაცხადა, რომ ამერიკისა და იაპონიის მთავრობებმა კუნძულები რიუკიუ, ბონინი და ვოლკანოს კუნძულები დააყენეს „საერთაშორისო კონტროლის" ქვეშ, რაც ფაქტიურად ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლი იქნება.

სებოლდმა აღნიშნა აგრეთვე, რომ იაპონიის მთავრობა დათანხმდა მისცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება იყოლიონ ამერიკის ჯარები იაპონიის ტერიტორიაზე საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგაც.

დასასრულ, სებოლდმა მოუწოდა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს — აწარმოონ პროპაგანდა იმ ანგარიშით, რომ ამერიკის წინადადებანი მსოფლიოს წარუდგინონ როგორც „ხალხის მასების სურვილი".

# თბილისის საჭადრაკო ჩემპიონატი

14 ნოემბერს [illegible] პარტიები.

თ. გიორგაძემ, რომელსაც ხუთი გადადებული პარტია ჰქონდა, მოუგო ვ. ქარსელაძეს და ო. წოწოლაშვილს, წააგო მ. შიშოვთან და შ. ინწკირველთან და ყაიმით დაამთავრა პარტია კლიაცკინთან.

მ. შიშოვმა მოუგო ო. წოწოლაშვილს, ო. წოწოლაშვილმა — ო. თურქესტანიშვილს.

15 ნოემბერს გათამაშდა მეთოთხმეტე ტური. ოსტატობის კანდიდატმა ა. ბუსლაევმა მოუგო ნ. ბახტაძეს, ვ. დანელიამ — ა. გაგუას, ოსტატობის კანდიდატ მ. შიშოვის და ბ. გურგენიძის პარტია ყაიმით დამთავრდა.

უკანასკნელი ტურის წინ მდგომარეობა ასეთია: ოსტატობის კანდიდატს მ. შიშოვს აქვს 11 ქულა, ოსტატობის კანდიდატს ა. ბუსლაევს — 9½, ბ. გურგენიძეს — 8½, ოსტატობის კანდიდატებს ვ. ქარსელაძესა და თ. გიორგაძეს — 8 ქულა და თითო გადადებული პარტია თვითეულს.

დღეს გათამაშდება უკანასკნელი, მე-15 ტური.

# ლ. ბრონშტეინის სეანსები

გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი განაგრძობს ერთდროული თამაშის სეანსებს დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებებში.

11 ნოემბერს 30 დაფაზე მოეწყო სეანსი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. დ. ბრონშტეინმა მოიგო 20, წააგო 2, ყაიმით დაამთავრა 8 პარტია. მოიგეს გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა რ. ცაგარელმა და ა. დავრანიანმა.

12 ნოემბერს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დ. ბრონშტეინმა დედაქალაქის მოსწავლეებთან მოაწყო სეანსი 25 დაფაზე. ბრონშტეინმა მოიგო 22 პარტია, წააგო ერთი თ. მელაძესთან (ვაკეთა I საშუალო სკოლა) და ორი პარტია ყაიმით დაამთავრა.

13 ნოემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში ბრონშტეინმა მოაწყო სეანსი 25 დაფაზე, მოიგო 22, წააგო 1, ყაიმით დაამთავრა ორი პარტია. მას მოუგო რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პიერ კობახიძემ.

14 ნოემბერს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 25 დაფაზე მოწყობილ სეანსში ბრონშტეინმა მოიგო 19 და ყაიმით დაამთავრა 6 პარტია.

# გრიბოედოვის დრამატული თეატრის მსახიობები რუსთავში

**რუსთავი**. (საქ. კორ.). 14 ნოემბერს რუსთავს ესტუმრნენ გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობები.

საქალაქო კლუბში მათ წარმოადგინეს ს. მიხალკოვის „დაკარგული სახლი".

სპექტაკლს მრავალი მაყურებელი დაესწრო.

# „ლაურენსია" ვახტანგ ჭაბუკიანისა და ალა შელესტის მონაწილეობით

კვირას, 19 ნოემბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ნაჩვენები იქნება ა. კრეინის „ლაურენსია".

მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი და ლენინგრადის აკადემიური თეატრის სოლისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ალა შელესტი.

# საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოებაში

კვირას, 19 ნოემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე (კეცხოველის ქ. № 11) დოცენტი გ. ზარდალიშვილი წაიკითხავს მოხსენებას — „ტიბეტი".

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი „ტიბეტი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**19 ნოემბერს.**

6.45—მარშები. 7.50—ფანტაზია მოსკოვის სიმღერების თემებზე. 8.35—ვალსები. 10.30—„პიონერთა დაფიონის" საკვირაო ვამოშვება. 12.15—გადაცემა მოსწავლეთათვის: „ბიძია თომას ქოხის" რადიოინსცენირება. 13.20 — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ორკესტრის კონცერტი. 13.50—ლიტერატურული გადაცემა. 17.15—კამერული მუსიკის კონცერტი. 18.00—გადაცემა მოსწავლეთათვის: „ლ. ტოლსტოი და საქართველო". 18.20—კონცერტი საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის ი. ბერიძის შესრულებით. 19.00—გადაცემა ახალგაზრდობისათვის. ნარკვევი: „სტუმრად ლიდია კორაბელნიკოვასთან". 19.15 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 20.35—რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის: „ახალი აღმავლობა საირიგაციო მშენებლობაში", ქალაქის ქსელით — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მერი ნაკაშიძის შესრულებით. 20.45—ქართული მუსიკის კონცერტი. 21.10—საუბარი: არტილერიის დღე. 21.40—ლიტერატურული გადაცემა: ნაწყვეტი ლევ ტოლსტოის ნაწარმოებიდან „ომი და მშვიდობა".

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — „აბესალომ და ეთერი"; **რუსთაველის სახელობის** — „რღვევა"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვარდო"; **გრიბოედოვის სახელობის** — „დაკარგული სახლი" (მე-15 აბ.); **სომხური დრამის** — „ეს ვარსკვლავები ჩვენია"; **მუსიკალური კომედიის** — „მეგობრები" (ფილარმონიის საზამთრო თეატრში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „შინ დაბრუნება მინდა" (31-ე აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ბროლის ფეხსაცმელი" (1-ლი აბ. 9½ ს.), „გოგონები" (მე-15 აბ. 3 ს. მე-9 აბ. 6½ ს.); **სანკულტურის** — „მესხეთის მიწაზე"; **კონსერვატორიის მცირე დარბაზი** — ბ. გოლდშტეინის კონცერტი (9 ს.); **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.


თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონი



19 ნოემბერს **ფეხბურთი**

„დინამო" (თბილისი) — 1950 წლის შემადგენლობა

სპორტის ოსტატები: **მარღანია, ძიაფშიფა, სარჯველაძე, ანთაძე და ლოლობერიძე, ელოშვილი, გარიშვილი, ჯოჯუა, მახარაძე, ვარდიმიადი, თოდრია.**

გუნდის კაპიტანი — სპორტის ოსტატი **ლოლობერიძე.**

გუნდის მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი **იაკუშინი.**

„დინამო" (თბილისი) — 1940 წლის შემადგენლობა

სპორტის დამსახურებული ოსტატები: **შავგულიძე, კიკნაძე, გაგუა, ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, იაკუშინი, პანიუკოვი,** სპორტის ოსტატები: **ფროლოვი, ჯორბენაძე, გვაშელი, ბერეჟნოი და ჭელიძე, დოროხოვი, ჰუმბურიძე, ნ. სომოვი.**

გუნდის კაპიტანი — სპორტის დამსახურებული ოსტატი **შავგულიძე.**

გუნდის მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი **ფაჩულია.**

მატჩის სჯის საკავშირო კატეგორიის მსაჯი **ნ. ჩხატარაშვილი.**

მატჩის შემდეგ მედლები გადაეცემათ თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის ფეხბურთელებს, რომლებმაც ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშებაში მე-3 ადგილი დაიკავეს.

დასაწყისი დღის 3 საათზე.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს **კონკურსს ორდინატორის** თანამდებობაზე შემდეგ კლინიკურ დისციპლინებში: სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკა—1, სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კლინიკა—1, პედიატრიისა და სანიტარიის ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კლინიკა—1, ინფექციურ სნეულებათა კლინიკა—1, პედიატრიისა და სანიტარიის ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კლინიკა—1, სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კლინიკა—1, პედიატრიის ფაკულტეტის ჰოსპიტალური პედიატრიის კლინიკა — 1, პედიატრიის ფაკულტეტის საფაკულტეტო პედიატრიის კლინიკა — 1, პედიატრიის ფაკულტეტის ბავშვთა ქირურგიის კლინიკა — 1, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კლინიკა—2, მეან-გინეკოლოგიის კლინიკა—1, სამკურნალო ფიზკულტურის—1, თვალის სნეულებანი—1, ქირურგიული სტომატოლოგია—2.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ექიმს სამედიცინო ინსტიტუტი დამთავრებული ჰქონდეს ფრიადზე ან ჰქონდეს საექიმო სტაჟი არანაკლებ 3 წლისა, ხოლო ასაკი არ აღემატებოდეს 30 წელს.

განცხადება, ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლეს სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, ცნობა საექიმო მუშაობის შესახებ და ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში (მელიქიშვილის ქ. № 16).

განცხადების შეტანის ვადა — 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.


**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ა. წ. 28 ნოემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ., № 8, II სართული) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **მიხეილ ნიკოლოზის-ძე ჭაბაშვილი** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საბისა სიტყუაჲ"-ს ლექსიკონი".**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ს. ყაუხჩიშვილი**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ივ. ქავთარაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ., № 8, II სართული).

ძმა ვლადიმერ, ძმისწულები ლილი და კარლო, სიძე გიორგი, შვილიშვილები მანანა და მაია ჯიბლაძეები, მარუსია და რიმა გვეელაშვილები იუწყებიან **ნოე ლუარსაბის-ძე გვეელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-XI ქ. ქუთაისში, გოგებაშვილის მე-6 შესახ., 21.

მეუღლე დარიკო, შვილები ლასიკო, თამარ, ნადია, გიორგი, ძმა სამსონ ცოლშვილით, რძლები ზეინაბ, დარეჯან, სიძეები ვ. ქუთათელაძე, პ. მომცელიძე, შვილიშვილები ქართლოსი, დათუნა, მზია იუწყებიან **ილია ივანეს-ძე სვანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-XI, 7 ს. გამოსვენება 19-XI, 5 ს. თემრუკის, 30.

შვილები აგრაფინა, თამარ, ნადია ოჯახებით იუწყებიან **ნატალია მიხეილის ასულ რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-XI ქუთაისში, მარის, 62.

თბილისის ქალთა პირველი საშუალო სკოლის დირექცია, პედპერსონალი და ტექნიკური თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ც. შუშანიას მისი მეუღლის **ანასტასია შუშანია-ანჯაფარიძის** გარდაცვალების გამო.

დედა ივლიტა, მეუღლე ვანო, შვილები გივი, ამირან და ვაჟა, რძალი ტატიანა, შვილიშვილი ნატრული სამსონიები, ძმისწულები გოგილო და ტოგო მიმინოშვილები იუწყებიან **ანა ანდრიას ასულ სამსონიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-XI, 7 ს. გამოსვენება 19-XI, 4 ს. ერისთავის, 8.

მეუღლე ბელა, შვილი მარინე, სიდედრი ეკატერინე, ცოლისძმა ალიოშა მეავია ოჯახით იუწყებიან, რომ 19-XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **სისიკო ანტონის-ძე წულუკიძის** პანაშვიდი.

დიდედა ვარდო, ბებია მარო, ბაბუა სანდრო, ბიძები კოკა და ვასო, ბიცოლები თამარ და ნინო, ბიძაშვილები გუგული და ბიჭიკო გირკელიძეები, სიძე კაკო ლომოური იუწყებიან **ციალა უგრეხელიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე პაველ, შვილი ვერა ჭიპაშვილები, სიძე დავით ბაბილუა, მაზლები სერგო, ლეონტი ოჯახებით, მაზლიშვილები, რძლები და სიძეები იუწყებიან **ედესი ჭიპაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-XI ხარაგოულში.

მეუღლე ნადია ბაქრაძე-გვენცაძისა, შვილი ნიკოლოზ, რძალი ელიზა, სიდედრი ეპრასია, ვანო, ევგენი, ქეთო ბაქრაძეები, ანეტა, პეტრე კერესელიძეები, ქეთო, არჩილ ქურციკიძეები შვილებით იუწყებიან, რომ 19-XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **მიხეილ სიმონის-ძე გვენცაძის** პანაშვიდი.

მეუღლე შალვა, შვილები ჯუმბერ, მამია, დედამთილი ვერა, მულები ლოლა, მარო, ზეფირა, მაზლი გელა ყიფიანები, ეთერ და ნელი ახვლედიანები იუწყებიან **სონია მალაქიას ასულ სტაფაძე-ყიფიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-XI, 7 ს. გამოსვენება 19-XI, 2 ს. ზაქრაძის, 9 (ლენინის რაიონი).

თბილისის ქალთა 24-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან მასწავლებელ ნადია სვანიძის მამის **ილია ივანეს-ძე სვანიძის** გარდაცვალებას.

მარიამ არდიშვილი, ნადია ჩხატარაიშვილი, ლუბა ქელბაქიანი, ვენერა და შალვა მხეიძეები, ლიზა და მაქსიმე ჩხატარაიშვილები, ლეო ფიჩუაშვილი იუწყებიან, რომ 19-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ნინო ვარდენის ასულ და არტამონ ანდრიას-ძე გოლეთიანების** პანაშვიდი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომლები და ნიადაგმცოდნეობის კათედრა იუწყებიან, რომ 19-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **აკაკი პეტრეს-ძე თურქიას** პანაშვიდი.

შვილები მერი, ვარა თელიძეები, სიძე ვ. მაღრაძე, შვილიშვილები მარინე, ციმი, ძმა მიშა, რძალი მარო, ძმისწულები გუგული, გივი, ნანული მაისურაძეები იუწყებიან **თამარ მიხეილის ასულ თელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-XI, 7 ს. გამოსვენება 21-XI, 5 ს. პლეხანოვის, 168.

მეუღლე ემა, შვილი ბიძინა, რძალი ვარდიკო, შვილიშვილები რევაზ, ქეთო ინდუაშვილები, და იულია გოლეთიანი იუწყებიან **ნიკოლოზ სიმონის-ძე ინდუაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-XI, 7½ ს. გამოსვენება 19-XI, 1 ს. ფასანაურის, 11.

მეუღლე ცაცა მამფორია-გოგორიშვილისა, შვილი გივი იუწყებიან, რომ 19-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ამბერკი იოსების-ძე გოგორიშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე მატრონა, შვილები ნინო, სონია ჭეიშვილები და გალინა გიორგაძე, შვილიშვილები თამარ, ვახტანგ გიორგაძეები, ელენე ლაღიძე, ძმისწული თამარ სირაძე იუწყებიან **ნიკიფორე მარკოზის-ძე ჭეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-XI ქუთაისში, ბარათაშვილის, 115.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და უფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსა და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 17155